საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 20 სექტემბერი, 2013 წელი.

№178 (7307)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ენად გაკრეფილმა „ვარსკვლავბიჭუნებმა“

ისეთ დღეში ჩაგდეს მაშული, ❹ მეტერი რომ ვერ უზამდა...

ვინ არიან სახელმწიფო ხაზინის ოფიციალური „კანონიერი ქურდები?“ ❼

ირინე იმერლიშვილი:

„საკაკაშვილისგან განსხვავებით სახელმწიფო ქონება დედაჩემისთვის 1 ლარად არ მიმიყიდია“

მიანწექ, მიშა, არვის დაუჯერო, გარდა საკუთარი თვალებისა!

❷

არადა, ამტკიცებენ, მიშა ივანიშვილზე მდიდარიაო!

გველი შაპი ქობულეთში?! ❻

როდის გათავისუფლება ზუგდიდის პირველი საჯარო სკოლა „ნაციონალების“ მარწუხებისაგან? ❸

დამნაშავენი დროს ვერ ამოეფარებიან

❺

„ტყე შეუნახე შვილებსაო“... და არა მერაბიშვილებსაო ❼

მასთან მეგობრობა გვეამაყებოდა ❿

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ვაი ჩვენს პატრონს!

ვინ ეკითხება „სუდიას!“

მიაწექ, მიშა, არვის დაუჯერო, გარდა საკუთარი თვალებისა!

მოგეხსენებათ, ახლახან თურქეთში იყო პრეზიდენტობის რამდენიმე დღის „მათხუარი“ სააკაშვილი. გნაცმოძრაობის ზეობისას დამკვიდრებულის დარი შეხვედრა მოუწყვეს იქაურმა ქართველებმა. ჩვეულად გაილაღა ასეთ რაღაცეებს მონატრებულმა მიშამაც.

— თქვენ ყველაზე მაგარი ქართველები ხართო, — უთხრა შეკრებილებს (მანამდე ისინი ისტორიაშიც „გაანათლა“ — **რუსულმა იმპერიალიზმმა მოგწყვიტა-**

თო სამშობლოს(?!), მერე ერთ ქართველ თურქს გადახვია ხელი.

იმანაც, — **რა და როგორ იყო, ყველაფერი ვიცით, რაც თქვენს დროს მოკლე ხანში მოხდა, ასეთი არსად არ ხდებაო,** — შესცინა.

არც „მამლის“ შექებით კმაყოფილმა „გუგულმა“ დაახანა: **ამ კაცს,** — ჩააგუგულა მიკროფონში, — **„კონტრდაზვერვის ინიციატივით უარი ეთქვა საქართველოს მოქალაქეობაზე. ახლა კიდევ ორჯერ უთხრეს უარი. ახლა მე ვკითხულობ, ამ კაცმა, რომელიც საქართველოს გადააკვდა ბოლო ათწლეულია, ქართულად ლაპარაკობს ჩემზე და თქვენზე უკეთესად, სულ საქართველოს პროპაგანდისტია. და ახლა, როცა ყველამ გააჩერა მშენებლობა ბათუმში, ეს აშენებს სასტუმროს, ჩვენ ვთხოვეთ და აშენებს, თანაც აჭარულ სტილში... საქართველოს პროპაგანდისტია თვალანთებული. დადის მთელ თურქეთში. ახლა საკუთარ თვალებს და ამის საძმეებს დავუჯერო თუ კონტრდაზვერვას და წულუკიანს?“**

— დაარტყი, ჭიჭიკია, პენალტი! — ღრიალებს სტადიონი.

— არ მაძლევს სუდია!

— ვინ ეკითხება სუდიას, დაარტყი!

გეხსომება ეს ანეკდოტი, „მათხუარო“. ამიტომაც საკუთარ თვალებს უნდა დაუჯერო, ცხადია, მარად და ყველაფერში შეუმცდარო, **ვინ ეკითხება „სუდიას“ — კონტრდაზვერვასა და წულუკიანს — დაურტყი „პენალტი“... საკუთარ ქვეყანას და იმის უსაფრთხოებას!**

მერე რა, რომ შენი ქვეყნის კონტრდაზვერვამ უთხრა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე თურქეთის მოქალაქეს, **მერე რა, რომ მას, ალბათ, ჰქონდა ამის საფუძველი!**

ვინ ეკითხება „სუდიას“, როცა შენ ასე გინდა!

და რაც მთავარია, შენ ხომ გჯერა შენი თვალებისა და იმ თურქი ქართველის საქმეებისა! რომც არ გჯეროდეს, მაინც უნდა დაურტყა! **ეს ხომ უბრალოდ გევალება შენ, საკუთარივე ნებით შენივ ქვეყნის ოპოზიციაში ჩამდგარო „პრეზიდენტო“ და „მთავარსარდალო“.**

დიახ, შენივ ქვეყნისა და არა იმისი მთავრობისა, რადგან, შენს ადრინდელ უარეს ჩაშვება-გარეკებზე რომ არაფერი ვთქვათ, გუშინწინ **თურქეთში საქართველოს კონტრდაზვერვისა და იუსტიციის სამინისტროს** (დიახ, მათი და არა ბეჟუაშვილისა თუ წულუკიანისა!) — **ამ ორი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტიტუტის — სახალხოდ ასე აგდებულად მოხსენიება, რბილად რომ ვთქვათ, სწორედ ქვეყნისთვის ავის ქმნაა!**

მართლაც, ვაი ჩვენს პატრონს!

ფული რომ ჰქონდეს, ხომ იყიდდა?

არადა, ამტკიცებენ, მიშა ივანიშვილზე მდიდარიაო!

ბრ დაიჯერო, არ დაიჯერო...დები იშხნელების შეანიშნავი სიმღერა მახსენდება ხოლმე ამის გაგონებაზე.

როგორ, ფული რომ ჰქონდეს, თანაც ივანიშვილზე მეტი, მიშა, ყველაფერს რომ აკეთებდა და აკეთებს თავისი სახელისა და ძალაუფლების (და არა — ხელისუფლების) გაპიარება-განმტკიცებისთვის, არ იყიდდა?

რას?

რას და, იმას, რის უბრალოდ ნაკლებობას კი არა, აბსოლუტურ არქონას უთუოდ შეამჩნევდა მას ტელემაყურებელთა უდიდესი უმეტესობა თუნდაც ამ რამდენიმე დღის წინათ, როდესაც „მათხუარი“ გიგი უგულავასთან ერთად რკინიგზის შემოვლითი გზის დროებით შეჩერებულ მშენებლობას ათვალიერებდა და თავისთვის ჩვეულ „მარგალიტებს“ აფრქვევდა.

დიახ, სწორედ იმას, რაც ხალხურმა სიბრძნემ გვარზე ათჯერ ძვირად, ათიათასად შეაფასა!

— შეფასება ერთია, შეძენა კი — კი მეორეო! — შენიშნავს, ალბათ, მავანი.

და მართალიც იქნება: იმ ათჯერ ძვირად შეფასებულის ყიდვა ფაქტობრივად შეუძლებელია — იგი თანდაყოლილი ნიჭი და საჩუქარია!

ამიტომაც აფრქვევდა და აფრქვევს ფულიანი მიშა „მარგალიტებს“.

რუსლან რუსია

◎ ვითარება

დატოვებენ სვანები „ხუდონჰესის“ გამო საკუთარ ოჯახებს?

„ხუდონჰესის“ მშენებლობის გამო სვანეთში დაახლოებით 200 ოჯახს, დაახლოებით 800 ადამიანს მოუწევს განსახლება. კომპანია „ტრანსელექტრიკმა“ 2012 წელს წინასწარი აღწერა და კვლევა ჩაატარა. კომპანიის ინფორმაციით, განსახლება მოხდება შემდეგი დასახლებული პუნქტებიდან: ხაიში, გალმა ხაიში, ლუხი, ქვედა წვირმინდი, ლარჯა, ტობარი და ლავხორალი.

გარდა ამისა, ზემოქმედების ქვეშ ექცევა ხაიშის ტერიტორიაზე არსებული წმინდა გიორგის ეკლესია და საფლავები, ასევე სხვადასხვა ინფრასტრუქტურა. რაც შეეხება სწორედ ამ ეკლესიას და საფლავებს, როგორც კომპანიაში ამბობენ, ადგილმონაცვლეობა განხორციელდება თემებისა და ეკლესიის წარმომადგენლებთან კონსულტაციების საფუძველზე და საქართველოში მოქმედი დებულებების თანახმად.

უშუალოდ საფლავებს რაც შეეხება, მათ გადაადგილებამდე დაგეგმილია იდენტიფიცირება და გარდაცვლილების უახლოესი ნათესავების ავტორიზაცია. ამოუცნობი საფლავებისთვის კი შემუშავდება სპეციალური პროცედურა თემთან და ეკლესიასთან კონსულტაციის საფუძველზე. განხორციელდება საეკლესიო წესებით გათვალისწინებული ნებისმიერი პროცედურა. კომპანიის წარმომადგენლები აპირებენ, რომ ახალი საფლავების იდენტიფიცირება თემის წევრებთან კონსულტაციის საფუძველზე მოხდეს.

რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, მათ შორის არარეგისტრირებულ მიწებს, კომპანია აპირებს, რომ სრული კომპენსაცია გასცეს კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე და მათზე განლაგებულ ადგილებზე. მათ შორის არარეგისტრირებულ ქონებაზეც. კომპანია უფასოდ გაუწევს ადგილობრივ მოსახლეობას დახმარებას, რომ დაირეგისტრირონ კერძო საკუთრებაში არსებული და ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი მიწის ნაკვეთები.

რაც შეეხება უშუალოდ კომპენსაციას, როგორც კომპანიაში ამბობენ, ჩატარებული წინასწარი კონსულტაციის შედეგად მოსახლეობის უმეტესობა დაინტერესებულია, რომ მიიღოს კომპენსაცია ნაღდი ფულით და საცხოვრებლად გადავიდეს მათ მიერ შერჩეულ ადგილზე. კომპენსაცია მიწაზე, შენობა-ნაგებობებზე და ხეებზე გაიცემა მათი აღდგენითი ღირებულებით, ხოლო აღნიშნულს ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტები.

ამასთან, კომპანიის ინფორმაციით, მთავრობამ კომპანიას სიმბოლურ ფასად, 1 აშშ დოლარად გადასცა პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სახელმწიფო მიწა და საბჭოთა კავშირის დროინდელი ნაგებობები, თუმცა მშენებლობის დასრულების შემდეგ კომპანია აპირებს, რომ სახელმწიფოს უფასოდ დაუბრუნოს ის მიწის ნაკვეთები, რომელთა გამოყენებაც აღარ იქნება საჭირო ჰესის ექსპლუატაციისთვის.

„ხუდონჰესის“ მშენებლობა ადგილობრივ კლიმატზე გარკვეულ ზემოქმედებას მოახდენს. როგორც კომპანია „ტრანსელექტრიკა ჯორჯიაში“ აცხადებენ, შეფასებამ კლიმატური პირობების მოდელირების საფუძველზე აჩვენა, რომ „ხუდონჰესის“ წყალსაცავის შექმნის შემდეგ, რეგიონში კლიმატის რაიმე არსებითი ცვლილება არ არის, თუმცა წყალსაცავი, უშუალოდ მასთან მიმდებარე ტერიტორიის ვიწრო ზოლის (1-5 კმ) კლიმატზე მოახდენს უმნიშვნელო გამაგრილებელ ზემოქმედებას თბილ სეზონში და დამათბობელ გავლენას ცივ პერიოდში.

გარდა ამისა, წყალსაცავის მშენებლობა 2 მ სიმაღლეზე ქარის სიჩქარით შეიძლება გაიზარდოს 2-3-ჯერ, 100 მ სიმაღლეზე სიჩქარე გაიზრდება მხოლოდ 10%-ით. დამატებითი ნალექის რაოდენობა კი შეიძლება იყოს 38 მმ, თუ მოხდა წყალსაცავის მიერ წარმოქმნილი წყლის ორთქლის ნახევრის ნალექად გადაქცევა (3%-იანი მატება).

კომპანიის ინფორმაციით, ადგილობრივ კლიმატზე, უმნიშვნელო ზემოქმედებათა მიზეზით მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ინტერპრესი

◎ ინფორმაცია

რატომ შეიცვალა ახალაიას საქმეზე პროკურორი

როგორც მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, პროკურორი რევაზ ნადოი ბაჩო ახალაიას პროცესს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ დაესწრებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ ბაჩო ახალაიას პროცესი სერგო თეთრაძის ეპიზოდზე 11:00 საათზე იყო ჩანიშნული, თუმცა ნადოი არ გამოცხადდა. ადვოკატების ინფორმაციით, ნადოი თეთრაძის საქმეზე არც წინა პროცესზე იმყოფებოდა და ამის არგუმენტად ის დაასახელა, რომ ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ციხის ბუნტის საქმეზე დასკვნით სიტყვას ამზადებდა. გუშინ კი, ნადოის ნაცვლად სასამართლოში პროკურორი ია დარჯანია გამოცხადდა, რომელმაც აღნიშნა, რომ ნადოი ავად არის და ამ მოტივით პროცესს ვერ ესწრება.

— პროკურორმა ია დარჯანიამ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა, რომ არ იცნობს საქმის მასალებს და ამ მოტივით მიეცეს გონივრული ვადა, რათა შეძლოს განხილვებზე დასწრება. მოსამართლემ იკითხა - აპირებდა თუ არა სერგო თეთრაძის საქმეზე ია დარჯანია პროკურორ რევაზ ნადოის ჩანაცვლებას, რაზეც დარჯანიამ ვერ უპასუხა და აღნიშნა, რომ ნადოის უკურნებელი სენი არ ჭირს, თუმცა მისთვის უცნობია, როდის შეძლებს იგი პროცესებზე დასწრებას.

— პროკურორი რევაზ ნადოი შეუძლოდ გახდა და სასამართლო პროცესზე დასწრებას ვეღარ შეძლებდა, რის გამოც გადაწყდა, რომ ბაჩო ახალაიას საქმეზე ის სხვა პროკურორს ჩაენაცვლებინა, — განაცხადა პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ხათუნა პაიჭაძემ.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● 10 თვეა ვაკვირდები და ვერ გავიგე ზემოდან რომელია?

● რა სახელმწიფოს მშენებლობაზე გვაქვს პრეტენზია, გუშინ რაც მოვისმინე ტელევიზიით!.. უსუსურ კაცზე საშინელი სანახავი არაფერი არ არის... ჯანლონით სავსე კაცი გამოდის და საჯაროდ ამბობს, თუ როგორ ამოარტყა წიხლი ოსური მხარის რომელიღაც წამომადგენელმა. კაცი არ ხარ, შენც დაგერტყა, ისე რომ ნაბიჯი ვერ გადაედგა. საკუთარ თავს ვერ იცავთ და ტერიტორიის დაცვას ვინ მოგთხოვთ!

● „არ ვუყურებ ამ „რუსთავი 2-ს“ — განაცხადა ბომბმა სპეციალურ ბრიფინგზე.

● მე, როგორც საქართველოს რიგით მოქალაქეს, მაინტერესებს რომელი ამბობს სიმართლეს, ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თუ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირინა იმერლიშვილი.

მე მოვითხოვ ამ ურთიერთბრალდებებზე გამოძიების დაწყებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩავთვლი, რომ ორივე მხარე მართალს ამბობს!

● WANTED კოჰაბიტაცია — აცხადებს კვესიტაძე.

● ისე, შარშან ამ დროს როგორ ერთ მუშტად შეიკრა მთელი ერი, ეხლა რა გჭირთ, გაგიარათ? გიხსენეთ რა ხდებოდა ჩვენს თავს და მერე იტლიკინეთ. არ მუშაობს ხო ოცნება? მაგან უკვე ისე ძალიან მაგრად იმუშავა, რომ ვერც კი ხვდებით. ძალიან მალე გაუარა ხალხს ტკივილმა. აი სად სტკიოდათ, მაგას აქ ვერ ვიტყვი, ნე პრილიჩნო. ციხის კადრები ზუსტად 1 წლის წინათ გასაჯაროვდა, უმძიმესი დღე ჩემს ცხოვრებაში.

● დღეს საზმაუსთან აქციის თემაზე მინდა ერთი რაღაც ვთქვა: თუ უყურეთ რეპორტაჟს, სადაც პროვოკაციაზე გოგონა საუბრობდა... ეს გოგო გუშინ ტელევიზია „კავკასიის“ გადაცემა „ბარიერს“ სტუმრის რანგში ესწრებოდა. ანუ ისევე როგორც მე. კითხვა დასვა, როგორც კოალიცია „ოცნებისგან“ იმედგაცრუებულმა“ — ისეთივე კორექტული იყო, როგორც დღეს. ეს გოგო სხვა არავინაა, თუ არა გიორგი ონიანისა და ნაციონალების მახინჯი რუპორი.

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ძნელია მშვიდად უცქირო უკეთურობას

„ბოროტსა სძლია კეთილმან...“

თითქმის ყველა შეცდომის გამოსწორება შეიძლება, ზოგისა უბრალო სიტყვით – ბოდიშის მოხდით, ზოგისაც – საქმით. მთავარია, ისეთი რამ არ შეგვეშალოს, რასაც უკვე სხვა სახელი – „ჩაჭრა“ ჰქვია. ჩაჭრილ, მაგრამ ნამუსიან კაცს დიდხანს, სიკვდილამდეც კი არ ასვენებს მის მიერ ჩადენილი უკადრებელი საქციელი, ნამუსგარეცხილს კი, პირიქით, სიამოვნებას ანიჭებს სხვისთვის მიყენებული ტკივილი. სამწუხაროდ, ასეთნი ცოტანი არ არიან. ასე იყო ყოველთვის და ამიტომაცაა კაცობრიობის ისტორია სიკეთესა და ბოროტებას შორის გაუთავებელი ბრძოლა.

ბოროტებასთან დაუსრულებელი ჭიდილის დამადასტურებელია ყველა წერილობითი ძეგლი – ისტორიული თუ მხატვრული ნაწარმოები და, რაც ნიშანდობლივია, მსოფლიოს ხალხების ზღაპრები, რომლებშიც მფრინავ ხალიჩაზე და ჯადოსნურ სარკეზე ოცნებასთან ერთად, ბოროტების დამარცხებისკენაა მიმართული მთელი ძალისხმევა, და სიკეთე, როგორც წესი, ყოველი ზღაპრის ბოლოს მუდამ ამარცხებს ბოროტების გველეშაპს.

ოპტიმისტურ ნოტაზე დამთავრება აუცილებელი იყო მრავალი საუკუნის წინათ და არანაკლებ აუცილებელია დღესაც. ადამიანმა ყველა ზღაპრის ნატვრა აისრულა (ხალიჩა, სარკე და კიდევ ბევრი სხვა) ერთადერთის, მთავარის გარდა – ვერა და ვერ მოახერხა ბოროტებაზე გამარჯვება, საბოლოო გამარჯვება. „ბოროტსა სძლია კეთილმან...“ ლამაზად ნათქვამია, მაგრამ, **საუბედუროდ, ბოროტების დასამარება შეუძლებელია.** შეუძლებელია, რადგანაც ის არ არის რაღაც ხილული, ხორცეული, ერთხელ და სამუდამოდ რომ მოსპო და მიწაში ჩადო. ბოროტების უკვდავება განპირობებულია იმით, რომ იგი ყოველ ადამიანშია ჩაბუდებული მეტ-ნაკლებად და ამიტომ, მისი მხოლოდ დათრგუნვაა შესაძლებელი. **სატანისეულის არსებობა თითოეული ჩვენგანის სინდის-ნამუსთან უკუპროპორციულ კავშირშია,** ბოროტების ხარისხი ჩვენს შინაგან ბუნებაზეა დამოკიდებული. ამავე დროს, ბოროტებასთან ბრძოლას არ შეიძლება ყველა საკუთარი საზომით ანუ თავ-თავიანთი ნამუსით მიუდგეს, ეს არ იქნება სწორი და არც საკმარისი. აუცილებელია, და ამას დიდი ხანია მიხვდა კაცობრიობა, საერთო, ასე თუ ისე ყველასათვის მისაღები „ნამუსის კოდექსი“, რასაც სახელმწიფო და სახელმწიფოს მხრიდან კონტროლირებადი კანონმდებლობა ჰქვია. **სიკეთე-ბოროტებას შორის ჭიდილის განმსაზღვრელი არის პიროვნული ნამუსიანობა, ოღონდ განზოგადოებული, სახელმწიფო ნამუსიანობით დაცული და ზურგგამაგრებული.**

საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალა სიკეთე-ბოროტებას შორის ბრძოლაშია ჩადებული, ეს ბრძოლაა კაცობრიობის წინსვლის, გნებავთ, ყოფნა-არყოფნის საწინდარი. **თუ სამართლიანია სახელმწიფო (ხელისუფალი), ბოროტება, სატანა დათრგუნულია,** და, რაღა თქმა უნდა, როცა სახელმწიფოა კანონდამრღვევი, როცა თავადაა ბოროტების წყარო, ბოროტება იფურჩქნება და პიროვნულ ნამუსს ძალიან უჭირს წინ აღუდგეს ბოროტებას. უჭირს მანამ, სანამ ბოროტების აღმასვლა კრიტიკულ ზღვარს არ მიაღწევს, სანამ ინდივიდუმების უკვე საერთო სახალხოდ ქცეული ნამუსი სახელმწიფოს უნამუსობას არ დაუპირისპირდება.

ძნელია, ძალიან ძნელია ბოროტებასთან ბრძოლა, მით უფრო გაერთიანებულ და დიდი ფულის მქონე ბოროტებასთან. ბოროტების დამარცხება ადვილი და ჩვეულებრივი მოვლენა რომ ყოფილიყო, მაშინ არც ზღაპრებში გაგრძელდებოდა საუკუნეები ამაზე თხრობა და არც ამდენი უსამართლობის მოწმენი ვიქნებოდით დღეს მთელ მსოფლიოში. **იმ მეთოდების გამოყენება, რასაც ბოროტება იყენებს, სიკეთეს თავშიც არ მოუვა, ბოროტება ხომ ათი მცნების ნაცვლად სატანის შეგონებებით ხელმძღვანელობს – მოატყუე, აცდუნე, დააშინე, დაიჭირე, აწამე, მოჰკალ შენი მოწინააღმდეგე, თანაც ყველაზე გამორჩეული, ვისაც აფასებენ და ვინც ყველაზე აქტიურად გიპირისპირდება.**

ძალიან ძნელია მშვიდად უცქირო სიბოროტის თუნდაც ერთ (მრავალთაგან!) გამოვლინებას, იმას, თუ რა ხელაღებით ასხვისებენ უცხოტომელებზე იმ ქართულ მიწებს, რომლებსაც სწორედ ამ უცხოტომელებისგან(!) სისხლის ფასად იცავდნენ ჩვენი წინაპრები. კიდევ უფრო ძნელია (და გასაკვირიც!) ამის შემყურემ, მაინც არ დაუშვა ზეაღმართული შიშველი ხელები და რაც მოგხვდება, იმას არ წამოავლო ხელი. ძველად ასეთი რამეებისთვის ხომ ცხენის კუდზე გამოაბამდნენ, ეხლა კი რა ხდება – გადავგვარდით თუ გავთახსირდით? სამწუხაროდ, დიდწილად – ერთიც და მეორეც.

ამის მიზეზი, უკიდურეს გაჭირვებასთან და ზღვარგადასულ განუკითხაობასთან ერთად (მსგავსი პერიოდები ადრეც გვქონია, მაგრამ გადაგვიტანია!), არის ჩვენი და, რაც მთავარია, ჩვენი შვილების ის გამუდმებული ტვინის გამორეცხვები, რასაც საბოლოო ჯამში, გლობალისტურ პრინციპებზე გამოზრდილ-გამოტრენინგებული, მწვანეებზე დაგეშილი მანქურთების აღზევება მოსდევს ხელისუფლებაში. ისინი, ფაქტობრივად, „მეგობრებს“ მოჰყავთ, მაგრამ ჩვენც ანუ ტვინგამორეცხილები, ხომ გულუბრყვილო ბავშვებივით ვიჯერებთ მათ დაპირებებს და მხარს ვუჭერთ არჩევნებში!

და მაინც, როგორ გინდა მხოლოდ ანთებული გულით და სუფთა ხელებით სისხლში ხელებგასვრილი ბოროტების დამარცხება? ეს ხომ, პრაქტიკულად, შეუძლებელი უნდა იყოს! მაგრამ არც მთლად ასეა საქმე.

ბოროტება თავისი არსით არის არა უბრალოდ ბოროტება, როგორც ასეთი, არამედ – ძალიან პატარა ჯგუფის, უმცირესობის განუკითხავი ბატონობა დიდ უმრავლესობაზე. სწორედ ამიტომ, წარმატების, გამარჯვების საწინდარიც ამ უმრავლესობაში, ანუ ხალხშია ჩადებული. **საკუთარი ღირსების დასაცავად გამოსულ ხალხს წინ ვერაფერი უდგება,** ეს კარგადაა ცნობილი ისტორიიდან. მთავარია, ამ ძალის სწორ კალაპოტში მოქცევა, რათა მისი წიაღიდან ახალი, ხშირად უფრო უარესი ბატონობისკენ მიდრეკილი უმცირესობა არ მივიღოთ. სამწუხაროდ, ახლო წარსულის გამოცდილებამ არ გვასწავლა ჭკუა, დღევანდელ დღეს ხომ იგივე ნიშნებს ვხედავთ! **„ბილწთან ზავით შაკვრა“ – კოჰაბიტაცია ისევ ამ დამნაშავესთან ერთად(!) კვლავ ბატონობაზე პრეტენზიის დაუფარავი განაცხადია!**

ბოროტებას, სატანას არასდროს არ სძინავს, მან შეიძლება, თავი მხოლოდ მოიმძინაროს, ანუ დროებით უკან დაიხიოს და მოჩვენებით დათმობებზე წავიდეს, მაგრამ ამან არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში. თუ გვინდა თავის გადარჩენა და სამშობლოს შენარჩუნება, ბრძოლაში მოდუნება არ შეიძლება, **ბოროტებასთან შეგუება, მისი წლობით ატანა და ჩადენილი დანაშაულის პატიება დიდ ცოდვასთან ერთად, ახალი დანაშაულის ტოლფასია და მომავალი უბედურების მომასწავებელი!**

იმისთვის, რომ კარგად გავერკვეთ ეშმაკისეულ ხერხებში, საჭიროა, **პირველმნიშვნელოვანი(!) ბოროტების გაშიშვლება,** მისთვის ნიღბის ჩამოგლეჯა, ანუ რაც შეიძლება სრულად ობიექტური ინფორმაციის მიწოდება ხალხისთვის. მაგრამ მარტო „ობიექტივის“ ობიექტურობა არაა საკმარისი საქართველოს მოსახლეობისთვის თვალის ასახელად, იგი მარტო ვერ გაუმკლავდება გამყიდველ ტელევიზიებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ყველამ, თითოეულმა ჩვენგანმა ყველანაირი საშუალებებით უნდა ვეცადოთ ნიღაბი ჩამოვხსნათ როგორც შინაურ მედროვეებს, ისე იმ უცხოელ „მეგობრებს“, რომელთა მიზნები არასოდეს ყოფილა, და არც არასოდეს იქნება ჩვენი ქვეყნის სამართლებრივად და ეკონომიკურად ფეხზე დაყენება, ჩვენი ეროვნულობის – ენის, კულტურის, მართლმადიდებლობის შენარჩუნება!

ინფორმაცია და ინფორმაცია, ესაა გადამწყვეტი ხალხის, რაც შეიძლება მეტი ხალხის დასარაზმავად და ბოროტების დასამარცხებლად.

რაღაც დროით მაინც!

იაკობ ლეჟავა,
13 სექტემბერი, 2013

◎ სამეგრელოს მხარე

როდის გათავისუფლდება ზუგდიდის პირველი საჯარო სკოლა „ნაციონალების“ მარწუხებისაგან?

ზუგდიდის თითქმის საუკუნენახევრის და უდიდესი ტრადიციების მქონე პირველი საჯარო სკოლა ვერა და ვერ გათავისუფლდა „ნაციონალების“ მარწუხებისაგან. პოლიტიკური ნიშნით, სააკაშვილის რეჟიმისადმი კრიტიკულად განწყობილი განთავისუფლებული პედაგოგები დღემდე ეძებენ სამართალს.

ზუგდიდის პირველი საჯარო სკოლიდან განთავისუფლებულმა პედაგოგებმა კოლექტიური წერილი გაუგზავნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს თამარ სანიკიძეს. წერილს ხელს აწერს ათი უკანონოდ განთავისუფლებული პედაგოგი. სამსახურიდან განთავისუფლების გამო, დარდსა და ნერვიულობას გადაჰყვა ქალბატონი ლუიზა ბაძაღუა, ამიტომ გარდაცვლილი პედაგოგის მაგივრად ხელს მისი მეუღლე დავით ხარებავა აწერს „ჩვენ ვართ მსხვერპლნი მიმდინარე სისტემური ცვლილებების შედეგად გამოაშკარავებული წინა ხელისუფლების საში ფაშისტური პოლიტიკისა და ამ პოლიტიკის საჯარო სკოლაში რეფორმის ჩამნერგავ-გამტარებლის სკოლის დირექტორის მოადგილის ქალბატონ ლალი შანავას სახით. ცნობილი ახალაიების ოჯახის წევრ-მეგობარი ქალბატონი ლალი შანავა, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ გახდა ჩვენს სკოლაში დირექტორის მოადგილე და დღემდე ამ თანამდებობას იკავებს, მიზანმიმართულად დაიწყო პოლიციური რეჟიმის დმყარება–დანერგვა. განსაკუთრებული რუდუნებით კი მას შემდეგ „შემოგვიტია“, რაც ცნობილი მეგის ქარდავა გახდა მისი სასურველი სიძე. ახალაია–ქარდავების ძალაუფლებით სკოლაში შეიქმნა ფსიქოლოგიური ზეწოლის, მუქარის, დაშინების, თვალთვალის, მსტოვრობის ინსტიტუტი. ასეთ სტრესულ სასწავლო გარემოში ქალბატონი ლალი შანავა თანამდებობრივ მდგომარეობას ბოროტად იყენებდა და თავს გვესხმოდა თავისუფალ, მისთვის და ადგილობრივი მთავრობისთვის მიუღებელ პედაგოგებს. მისმა პედაგოგის ეთიკისათვის აბსოლუტურად მიუღებელ-შეუფერებელმა აქტივობამ სკოლას დაუკარგა ჰუმანურ-სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ფუნქცია. „ნაციონალების“ სასარგებლოდ ოქტომბრის არჩევნებისათვის სკოლის სოციალური გვერდიც გამოიყენა და ინტერნეტ სივრციდან მოუწოდებდა ზუგდიდის რაიონის პედაგოგებს, შეექმნათ მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფი როლანდ ახალაიას მხარდასაჭერად და სიძის მეგის ქარდავას ძალაუფლების მეშვეობით დაემუქრა განსხვავებული აზრის მატარებელ სოციალური გვერდის მომხმარებლებს. სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, პირადი ინტერესით, პოლიტიკური ნიშნით განსხვავებული აზრის მქონე პედაგოგები სკოლას ჩამოგვაცილა. მან აიხდინა პირადი სურვილები, ჩვენ კი დღემდე ვრჩებით უსახსროდ, უსამსახუროდ, უკანონობით დისკრიმინირებულნი“, ნათქვამია განათლების მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში. პედაგოგები ითხოვენ პირველ საჯარო სკოლაში შემოვიდეს გენერალური ინსპენქცია და მათთან ერთად განხილონ ის ბრძანებები, რის საფუძველზეც ისინი გაათავისუფლეს. პედაგოგები ასევე მოითხოვენ ლალი შანავას თანამდებობიდან გათავისუფლებას, რომელსაც შედეგად უნდა მოჰყვეს მათი აღდგენა სამსახურებში.

ერთ-ერთი უკანონოდ განთავისუფლებული პედაგოგის ციცო ფიფიას განცხადებით, ისინი სამსახურიდან დაითხოვეს თამაზ თორდიას დირექტორობის პერიოდში... „ჩვენ გაგვათავისუფლა დირექტორმა თამაზ თორდიამ ლალი შანავას დაკვეთით, ამ სკოლაში დირექტორი არც მაშინ და არც ახლა ვერაფერს ვერ წყვეტს, ყველაფრის განმკარგავი ლალი შანავაა, მიუხედავად ამისა, ჩვენ სანამ წერილს გავუგზავნიდით განათლების მინისტრს ასეთივე კოლექტიური წერილი გავუგზავნეთ სკოლის ამჟამინდელ დირექტორს ქალბატონ ნონა გოგინავას და მოვითხოვეთ ქალბატონ ლალი შანავას განთავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან და არა საერთოდ სკოლიდან, ჩვენ ვთვლით, რომ სანამ ლალი შანავა არ დატოვებს თანამდებობას, ჩვენი აღდგენა და სკოლაში დაბრუნება გამორიცხულია“ – აცხადებს ციცო ფიფია.

პირველი საჯარო სკოლის ამჟამინდელმა დირექტორმა ქალბატონმა ნონა გოგინავამ უპასუხა პედაგოგთა კოლექტიურ წერილს: „ჩემ მიერ შესწავლილ იქნა თქვენი განცხადება, მე დავიბარე ლალი შანავა და ვესაუბრე მას. ის უარყოფს აღნიშნულ ბრალდებებს და აცხადებს რომ მსგავს ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. მე დავინიშნე სკოლის დირექტორად 2012 წლის 8 თებერვალს და ამ პერიოდიდან შანავას მხრიდან შემჩნეული არ ყოფილა მსგავსი ქმედებები, სკოლის ადმინისტრაციას არა აქვს სამართლებრივი საფუძველი თანამდებობიდან გაათავისუფლოს ლალი შანავა და თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ლალი შანავას ქმედებებში არის დანაშაულის ნიშნები უფლება გაქვთ მიმართოთ შესაბამის ორგანოებს“ – ნათქვამია ნონა გოგინავას წერილში.

ლალი შანავა წაყენებულ ბრალდებებს მართლაც უარყოფს. მისი თქმით, ის სკოლის დირექტორი არასდროს ყოფილა, იყო მხოლოდ მოადგილე და ვერანაირად ვერ გაათავისუფლებდა პედაგოგებს სკოლიდან.

უკანონოდ განთავისუფლებული პედაგოგების განცხადებით სკოლის დირექტორი ნონა გოგინავა მათ სატელეფონო ზარებს არ უპასუხებს, პედაგოგებთან შეხვედრას გაურბის ლალი შანავაც. ამიტომ დათხოვნილ პედაგოგებს მხოლოდ ისღა დარჩენიათ , რომ სიმართლე განათლების მინისტრმა გაარკვიოს.

ლადო ძირია,
ზუგდიდი

ენად გაკრეფილმა „ვარსკვლავბიჭუნებმა“ ისეთ დღეში ჩააგდეს მამული, მტერი რომ ვერ უზამდა...

ორი ეტიუდი მინაწერებით

1.

მონათმფლობელობის კლასიკურ ქვეყნებში (საბერძნეთსა და რომში) მონა არ ითვლებოდა სრულფასოვან ადამიანად და როგორც პირადი მოხმარების საგანი, განიხილებოდა შრომის იარაღად. გენიალური არისტოტელეს განმარტებით, არსებობდა შრომის იარაღების სამი კატეგორია: მუნჯი (თოხი, ბარი), ხმის გამომცემი (ცხენი, ხარი), მოლაპარაკე (მონა). იმდროინდელი ტექნიკის პრიმიტიულობის გამო დარწმუნებული იყვნენ, რომ მონობა იყო მარადიული, რადგან ადამიანს არ შეეძლო მონის შემცვლელი შრომის იარაღის შექმნა. მონა ფიზიკურად უნდა ყოფილიყო ძლიერი, რომ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე შეძლებოდა მუშაობა. მონათმფლობელები უვლიდნენ მონებს ცხენებისა და ხარების დარად. მონათმფლობელობის იდეოლოგი, ძვ.წ. 11 საუკუნის რომაელი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი მარკუს პორციუს კატონი წერდა, კარგი მეურნე არის ის, ვინც ყოველ საღამოს შეამოწმებს მონებს, ხომ არ არიან ავად ან ხომ არ შიათ. ასეთი მოქმედება სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ მონას სოციალური პირობები უუმჯობესდებოდა.

მონობის მთავარი წყარო იყო ომი. დამორჩილებული ხალხების უმრავლესობა მონებად ევლინებოდა მიწისმფლობელთა მსხვილ მეურნეობებს (ცნობილია: ხმელთაშუა ზღვის უდიდესი ქალაქ-სახელმწიფოს კართაგენის მოსახლეობა რომაელებმა მონებად გაყიდეს). მონათმფლობელს კანონი არ ზღუდავდა მონა მოეკლა, გაეყიდა, გაეცვალა, დაესახიჩრებინა: მოეჭრა ენა, ცხვირი, ყურები. მონებს ოჯახის შექმნისა და შეუღლების უფლება არ ჰქონდათ. ამის მიუხედავად, უუფლებო ადამიანები ახერხებდნენ თანაცხოვრებას. მონათა შვილები მონათმფლობელთა საკუთრებად ითვლებოდნენ (მონობაში დაბადებულები საუკეთესო მონებად იყვნენ მიჩნეულნი, რადგან ისინი სხვაგვარ ცხოვრებას არ იცნობდნენ).

მონებს უმნიშვნელო დანაშაულისათვის სჯიდნენ, რათა დანარჩენებიც მუდმივ შიშში ჰყოლოდათ. სადამსჯელო პროცედურებს ასრულებდნენ მონა-ჯალათები, რომლებიც ბოროტების მსახურების სანაცვლოდ, პრივილეგიებით სარგებლობდნენ. მონათმფლობელთა სისასტიკე იქამდე მიდიოდა, რომ თუ მონა ესწრებოდა საიდუმლო მოლაპარაკებას, საიდუმლოს დაცვის მიზნით მას ენას ამოჭრიდნენ.

გლადიატორთა ბრძოლების მთავარი პერსონაჟები მონები იყვნენ. მათ აბრძოლებდნენ ერთმანეთთან და მტაცებელ ცხოველებთან.

მონათა მძიმე მდგომარეობაზე უზარმაზარი ლიტერატურა არსებობს. ბერძენ-რომაელ ავტორთა მონაცემებზე დაყრდნობით, თანამედროვე მეცნიერებას შესანიშნავად აქვს დახატული რაოდენ საშინელებაში უხდებოდათ ცხოვრება ამ გაუბედურებულ ადამიანებს. მონისადმი ადამიანური მოპყრობის გამონაკლისებიც არსებობდა. ეს დამოკიდებული იყო მფლობელის კეთილ ნებაზე, განსაკუთრებით მონის ნიჭსა და განათლებაზე. გათავისუფლებულ მონებს ლიბერტინები ეწოდებოდათ. რომში ლიბერტინების რამდენიმე კატეგორია არსებობდა.

ზოგიერთები მას მოიპოვებდნენ პირადი მონაცემების ჯილდოდ, ზოგიერთები ბოროტებისადმი მიდრეკილებით.

დიქტატორმა ლუციუს კორნელიუს სულამ ათი ათასი მონა გაათავისუფლა.

პროსკრიპციების სისხლიანი ეპოქის შემოქმედს ეს ჰუმანური მიზნით არ ჩაუდენია. თავისუფლება მოიპოვეს დამსმენებმა, საკუთარ მფლობელებზე ცრუ ინფორმაციების მიმწოდებლებმა. ამ გზით, ერთდროულად ათი ათასი კორნელიუსი დაიბადა (ლიბერტინები ბატონის გვარს ღებულობდნენ), რომლებიც სულას რეჟიმის უერთგულესი დამცველები გახდნენ. ლიბერტინებმა უდიდესი გავლენა მოიპოვეს იმპერიის ხანაში, ვიდრე მონა შრომისუნარიანი იყო, მონათმფლობელი ზრუნავდა მასზე, როგორც შრომის იარაღზე. ავადმყოფობისა და მოხუცებულობის შემთხვევაში გარანტირებული ჰქონდა ადამიანური გულქვაობის მთელი სისასტიკე. იშვიათი გამონაკლისის გარდა, დაუძლურებულებს აგდებდნენ ქუჩაში, უკეთეს შემთხვევაში მიჰყავდათ ჯანმთელობის ღვთაების ესკულაპის ტაძარში და იქ ტოვებდნენ ბედის ანაბარა, სადაც განწირულნი ითვლიდნენ გაწამებული ცხოვრების უკანასკნელ დღეებს. ასე უმოწყალოდ განიკითხავდნენ პირუტყვთან გათანაბრებული უუფლებო ადამიანების ბედს ცივილიზებული მსოფლიოს უმეტესი ნაწილის მპყრობელი რომაელები.

მ ი ნ ა წ ე რ ი : მონათმფლობელური წყობილების უკეთურებანი ისტორიას არ ჩაბარებია. ადამიანებისადმი დამოკიდებულების არაჰუმანური ფორმები ააღორძინეს ევროპეიზაციისა და მოდერნიზაციის სიყალბეზე დაუღალავად მორაკრაკე ქართველმა ნაცისტებმა. სააკაშვილმა და მისმა მეტაშფანდურე „ლიბერტინებმა“ ქართული მიწა ქართველებს ჯოჯოხეთად უქციეს. თავისუფალი აზრი ჩაქოლეს და დაანანეს გაუვალი უკანონობა. რომაელები განათლებულ მონებს განსხვავებულად ექცეოდნენ. ნაცისტურმა „შავმა ჭირმა“ მხოლოდ „შედრეკილ-შეშინებულები“ ჩათვალა ყურადღების ღირსად. ხაზი გადაუსვა ყოველგვარ სიწმინდეს და გზა გაუხსნა ნიჰილისტურ აბდაუბდებს, ცრუმეცნიერულ ნოვაციებს „ევროპეიზაცია-მოდერნიზაცია „ უწოდა.

მოხუცი უნდა წავიდეს და ახალგაზრდა დარჩეს — ეს ბუნების კანონია. ეშმაკის მოციქულებმა ბუნებრივი ციკლი ხელოვნურად დააჩქარეს. პიროვნება დააყენეს უსულო საგნის გვერდით. ევროპული სტანდარტების უმისამართო რახარუხით აყრუებდნენ გარემოს. სინამდვილეში უახლოვდებოდნენ ბერძნულ-რომაულ მონათმფლობელურ შეუვალობას. ადამიანებს წაართვეს ადამიანური ღირსება. ასპარეზი დაუთმეს მლიქვნელ-მეხოტბეებს, უკეთურ საქმეთა ჩამდენთ. ვინც სიცრუეზე აგებულ რეფორმისტულ უაზრობას ბრძოლა გამოუცხადა, საარსებო საშუალებები გადაუკეტეს და წარსულის გადმონაშთად გამოაცხადეს. თუ რომაელი მონათმფლობელები მოხუც მონებს ქუჩაში ყრიდნენ, ნაცისტებიც ანალოგიურად მოექცნენ ხანდაზმულ და არასასურველ პირებს. დიდი ხნის წინათ გავლილი ციკლი უკან დააბრუნეს და ძალის გამოყენებით ერს თავს მოახვიეს ცხოვრების ჯოჯოხეთური პირობები.

კაცობრიობის ისტორიის არც ერთ საფეხურზე თავისუფალი ადამიანის ასაკი დანაშაულად არ ჩაუთვლიათ. ეშმაკის ნაშიერებმა დაუწერელი კანონები დაარღვიეს. ფსკერიდან ამოტივტივებული არარაობები ტვინს უბურღავდნენ ერს, თითქოს მათ ღვთაებრივ საქმიანობას დიდი მოწონებით ხვდებოდნენ უცხოელი ჭკუისდამრიგებლები. სინამდვილეში, ენად გაკრეფილმა „ვარსკვლავბიჭუნებმა“ მამულს მრისხანე მტერზე ღრმა ჭრილობა მიაყენეს, ადამიანებს ღირსება შეულახეს, ბარბაროსულ ქმედებებს უწოდებდნენ ახალ შუქს საქართველოს ისტორიაში.

2.

მონათმფლობელური სამყარო იცნობს მეორე უკიდურესობას, როდესაც მონებმა მოიპოვეს თავისუფლება და შექმნეს დამოუკიდებელი სახელმწიფო. მხედველობაში გვაქვს სიცილიის მონათა აჯანყება (ძვ.წ. 137-132).

სიცილიის ნაყოფიერი ველები ბერძენ მონათმფლობელებს ეკუთვნოდათ. კუნძული იტალიის პურით მომარაგების ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ამის გამო კუნძულზე დიდი რაოდენობით მონა იყო თავმოყრილი, რომლებსაც უმძიმეს პირობებში უხდებოდათ ცხოვრება.

მონათმფლობელობის აპოლოგეტი დიოდორე სიცილიელი მოგვითხრობს არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს რაც არსებობდა კუნძულზე. მრავალ საშინელებას შორის იგი გამოჰყოფს მონათმფლობელ დამოფილეს მამულში დაკანონებულ ტანჯვა-წამების განსაკუთრებულ სისასტიკეს. ისტორიკოსის სიტყვებით, დამოფილე ახლად შეძენილ მონებს შანთით დაღავდა, რომ გაქცევაზე არ ეფიქრათ. ბოროტი მებატონე დღეს არ ჩააგდებდა, რომ რამდენიმე მონა არ დაესაჯა და დაესახიჩრებინა. გამწარებულმა მონებმა დამოფილე და მისი ცოლი მოკლეს. მათ მოქმედებას მიბაძეს მეზობელ მემამულეთა მონებმა. სიცილიას აჯანყების ტალღამ გადაუარა.

აჯანყებას სათავეში ჩაუდგა სირიელი მონა ევნუსი. სიცილიაში იგი ცნობილი იყო, როგორც წინასწარმეტყველი და სასწაულმოქმედი. ევნუსმა სელევკიდების დინასტიაში პოპულარული სახელი, ანტიოქოსი დაირქვა, ხოლო სახელმწიფოს ახალსირიული სამეფო უწოდა. მონების სამეფომ ხუთი წელი იარსება.

ახალსირიულ სამეფოში მონობის გაუქმების საკითხი არ დასმულა. ევნუსსა და მის გარემოცვას არამონათმფლობელური საზოგალოება წარმოუდგენლად მიაჩნდათ. მონობა, როგორც ექსპლუატაციისა და უთანასწორობის ფორმა გამარჯვებულებმა ხელშუხებლად დატოვეს. ენუსთან დაახლოებულმა პირებმა დაიკავეს მდიდართა სასახლეები და გადაიქცნენ ჩვეულებრივ მჩაგვრელებად. ახლად გადიდკაცებულებს დაავიწყდათ, რომ ცოტა ხნის წინათ მონები იყვნენ და ისეთივე სისასტიკით ექცეოდნენ მსხვერპლს, რაც საკუთარ თავზე ჰქონდათ გადატანილი. მონებმა გააგრძელეს მემკვიდრეობით მიღებული ჩაგვრის მეთოდები. მონათა ძირითადი მასა კვლავ უსამართლობის ტყვეობაში დარჩა.ევნუსის გარემოცვას მონათმფლობელური ცხოვრების წესის შეცვლაზე არ უფიქრია. ხელისუფლების სათავეში მყოფნი ვერ აცნობიერებდნენ ბოროტებას, რომელიც ამახინჯებდა შეხედულებას ადამიანის რაობის შესახებ. მონათა სახელმწიფოში სოციალური უთანასწორობა და ჩაგვრა შეუცვლელი დარჩა. ყოფილი მონები ისეთივე მჩაგვრელები აღმოჩნდნენ, როგორებიც იყვნენ მათი წინამორბედები. შეულამაზებლად გადაიღეს ადამიანის ღირსების შემლახავი სიმახინჯენი.

მონათა ახალსირიულ სამეფოს თავისუფლების გაგებაზე გავლენა არ მოუხდენია. მის იდეოლოგიაში ბატონობდა აზრი იმის შესახებ, რომ მონა არ იყო ადამიანი.

მ ი ნ ა წ ე რ ი : როგორც სიცილიელ მონებს დაემხოთ თავზე მიტაცებული დიდების კვარცლხბეკი, ასე დაემართათ ქართველ ნაცებსაც. სიცრუეზე აღმართული პირამიდა დაიშალა.

ნაცების სასმენელი დახშული იყო ქართველთა გოდების მიმართ. მათ მხოლოდ უცხოელ ჭკუის მასწავლებელთა ნაუბარი ესმოდათ და გამარჯვებულ მონათა დარად, გულდაგულ ავიწროებდნენ სალტეს ერის სულის ამოხდის მიზნით (ვაი, რომ იმედად მოსულ ახალ ხელისუფლებასაც მრუდე გზიდან გადახვევის ნიშნები არ ეტყობა). ნაცისტები დემოკრატიის უმისამართო ქადაგებით აკანონებდნენ ორ პოლუსს. ევროპული სტანდარტების სატყუარით თითქოს გვაახლოებდნენ აღთქმულ სამყაროს და მაღალი ტრიბუნიდან თვითნებურად ჭრიდნენ და კერავდნენ ბრბოდქცეული ადამიანების ბედიღბალს.

მეოთხედი საუკუნეა გაუთავებელ ზეიმებში ვიძირებით. ტრიუმფს ტრიუმფი მოსდევს, მაგრამ მწვერვალის ძირში დაგდებული სიზიფეს ლოდი ადგილიდან არ დაგვიძრავს. ათი წელია ევროპეიზაცია-მოდერნიზაციაზე უსაგნო ტრაბახმა საქართველოს შუბლს ვერაფერი შესძინა. უცხოურზე მოღაღადე ნაცისტებმა ვერც უცხოური შეითვისეს და მშობლიურიც საფუძვლიანად დაივიწყეს. ამ ცოდნა-არცოდნის მახინჯ ნაზავს სიამაყით ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება უწოდეს. „ვარსკვლავბიჭუნებმა“ ადამიანების მიწიერი ცხოვრება ჯოჯოხეთს გაუთანაბრეს. შარახვეტიებმა მიწის მუშა ქართველები მაწანწალებად მიმოფანტეს უკიდეგანო დედამიწაზე, მათი წინაპრების ძვლები უცხოელებს გადაულოცეს და ეს უკეთურობა ქვეყნის აღმშენებლობად მონათლეს.

მოხდა დიდი გარდატეხა. ერმა კიდევ ერთხელ იზეიმა „ცის გახსნა“. იმედი იმისა, რომ გათენდა და დასრულდა სიტყვებით თამაში, ნაადრევი აღმოჩნდა. ხელისუფლებას დაპატრონებულები ისეთივე მედიდურობით განიკითხავენ ქვეყნის ჭირ-ვარამს, როგორც მათი წინამორბედები, შესანიშნავად აქვთ ათვისებული ნაცისტების თეთრისა და შავის განურჩევლობის სოფიზმი. ხალხის რჩეულები წინა რჩეულების მსგავსად ხალხს ემალებიან. პოლიტიკურ ეკრანზე სახელები შეიცვალა, შინაარსი იგივე დარჩა. ჩვენთვის თანდაყოლილი სულსწრაფობით, ტაშის გამაყრუებელ გრიალში მომხვეჭელი შეცვალა მომხვეჭელმა. ამის თქმის უფლებას იძლევა რეალური ფაქტი: ორმოცდაათწლიანი სტაჟის მქონე პირის პენსიას თითქმის ასჯერ აღემატება ერთი მინისტრის ანაზღაურება. ასე ესმით სამართლიანობა ახალი საქართველოს ახალ მშენებლებს.

სიცილიელმა მონებმა ვერ გადალახეს მონათმფლობელური იდეოლოგიის ორპოლუსიანი ბარიერი. მათ ვერ წარმოედგინათ საზოგადოების მოწყობის განსხვავებული ფორმები და დარჩნენ მონობის მარადიულობის აღიარების ტყვეობაში. ანალოგიური სიტუაციაა ქართულ სინამდვილეში. თითქოს დაძლეული რეჟიმის გადალახვა ძნელდება. ნაცისტების აღმართულ დიდკაცობის კვარცხლბეკიდან ახალი ჩინოსნები კარგად ცნობილი და გაცვეთილი სიტყვებით ქადაგებენ. იმედის ფანტასტიკური კოშკები ნისლივით იფანტებიან საქართველოს ცაზე, მიწაზე არაფერი იცვლება. ნუთუ ნაცისტების „მემკვიდრეებსაც“ ეჩვენებათ, რომ ერი არის ბნელი და ვერ იგებს რა ხდება?

ნაცისტური სახადი მოუხდელია. ადამიანები ისევ ბრიყვებად განიხილებიან.

გადაიარა ნაცრის ფრქვევის დემაგოგიამ. ერი კვლავ სასურველ და არასასურველ კატეგორიებად არის გაყოფილი. გარემო ისევ ბურუსითაა მოცული. ადამიანები, რომლებიც მლიქვნელობის უნარის არქონის გამო დროს ვერ ერგებიან, არასასურველებად რჩებიან. ახალი ხელისუფლების საჭეთმპყრობელებს ნაცისტების სამრეკლოდან ფეხი არ მოუცვლიათ.

მინაწერების მიზანი: ხელისუფლების სათავეში ამაღლებულთ უჭირთ გარდასული რეჟიმის სიმძიმის დაძლევა. ვერ აღწევენ თავს უსწორმასწორო ცხოვრების წესებს (საიდანაც გამოვიდნენ).

აღნიშნულ რეალობათა გათვალისწინებით, ვერ მოხდა ნაცისტების დანერგილ ყველაფრისმცოდნეობის ამბიციათა გადალახვა და იმავე გაუგებრობაში ვიმყოფებით.

გრანი ქავთარია

დამნაშავენი დროს ვერ ამოეფარებიან

1994-2004 წლებში ჟინვალჰესის მძარცველი და მისი სადერევაციო გვირაბის დამანგრეველი შპს „ჟინერი“, რომელიც იმავე წლებში იჯარით მართავდა ამ ენერგოობიექტს, მართლმსაჯულებას ვერ გაექცა, ვინაიდან ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის (სახელმწიფოს კუთვნილი თითქმის ორასი მილიონი ლარის თანხების მითვისება), ხანდაზმულობის ვადა, მოქმედი კანონმდებლობით, 25 წელია.

ის, რომ შპს „ჟინერის“ მესვეურებმა ვერ შეძლეს გაქცეოდნენ მართლმსაჯულებას, იმით დასტურდება, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 10 აგვისტოს № 13-81688 წერილში, რომელსაც ხელს აწერს ფინანსთა სამინისტროს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორი მერაბ ჯერანაშვილი და რომლის ადრესატია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე ლევან მიქაბერიძე, კერძოდ, აღნიშნულია: „... შემდგომი რეაგირებისთვის და თქვენდამი ქვემდებარე სამმართველოში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე დასართავად გეგზავნებათ ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცის“ მიერ მოპოვებული მასალები, რომელიც შეეხება შპს „ჟინერის“ ხელმძღვანელ პირთა მიერ სახელმწიფო თანხების მითვისების ფაქტებს...“

ჩვენი სააგენტო შპს „ჟინერის“ საქმიანობასთან დაკავშირებით ჟურნალისტურ გამოძიებას ატარებდა 2011-2012 წლებში, თითქმის ორი წლის განმავლობაში. ჩატარებულ ჟურნალისტურ გამოძიებასთან დაკავშირებით იმავე პერიოდში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა რვა პუბლიკაცია სახელწოდებით „დაუდევრობა-დოყლაპიობა თუ გამიზნული ბოროტმოქმედება“– 2011 წლის 22 და 24 დეკემბერს, 2012 წლის 24 იანვარ-14 მარტს, 2012 წლის 25 ივლისს. 18.09.2012 წ. სახელწოდებით „შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ: ავიცილოთ ჟინვალჰესის კატასტროფა“ 2012 წლის 24 ოქტომბერს და 2012 წლის 5 დეკემბერს, რომლებშიც ჩვენს მიერ მოპოვებული მრავალი ფაქტი და მათი დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულება იყო აღბეჭდილი, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან შპს „ჟინერის“ მთავარი მესვეურების, კერძოდ, თეიმურაზ ჭიჭინაძის, ემზარ ჩაჩხიანის, ალექსანდრე კობაიძის და ანზორ დუნდუას დანაშაულებრივ ქმედებებს და მათ სახელისუფლებო მფარველებს. კერძოდ **ვაჟა მეტრეველი,** – 1994 წელს დეპარტამენტ საქენერგოს გენერალური დირექტორის მოადგილე, რომელმაც მისი სახელით ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჟინვალჰესი ხუთწლიანი საიჯარო სარგებლობაში გადაეცა იმავე წელს შექმნილ კერძო საწარმო კომერციულ ორგანიზაციას შპს „ჟინერს“; საქართველოს 1995-2003 წლებში პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე,** რომელმაც ჟინვალჰესთან და შპს „ჟინერთან“ დაკავშირებით მიიღო არაერთი განკარგულება, რის შედეგადაც შპს „ჟინერის“ ხსენებული საიჯარო ხელშეკრულება გაბათილდა და მას აეკრძალა ჟინვალჰესზე მეიჯარის სტატუსით ყოფნა. მან არც ერთხელ არ ჩათვალა საჭიროდ გაეკონტროლებინა თავისი განკარგულებების შესრულება, რითიც ხელი შეუწყო შპს „ჟინერის“ კანონსაწინააღმდეგო ფუნქციონირებას ჟინვალჰესზე, რასაც მოჰყვა შპს „ჟინერის“ მხრიდან სახელმწიფო სახსრების დიდი ოდენობის ძარცვა და მითვისება; სს „საქენერგოგენერაციის“ გენერალური დირექტორი **ნოდარ ბადურაშვილი,** რომელმაც არანაირ კანონიერ ქმედებებს არ მიმართა, რათა ბათილად ეცნო ხსენებული ხელშეკრულება და აეკრძალა ჟინვალჰესზე მეიჯარის სტატუსით შპს „ჟინერის“ ყოფნა; საქართველოს ენერგეტიკის მინისტრები 1994-2003 წლებში **რევაზ არველაძე, დავით ზუბიტაშვილი, თეიმურაზ გიორგაძე** და **დავით მირცხულავა,** რომლებმაც თავიანთი კანონსაწინააღმდეგო უმოქმედობით პირდაპირ და დაუმალავად ხელი შეუწყვეს შპს „ჟინერის“ მეიჯარეობას ჟინვალჰესზე; ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს უფროსი **იური მაისაშვილი,** თბილისის მერი ვანო ზოდელავა, საქართველოს 1994-2003 წლებში სახელმწიფო უშიშროების მინისტრები **იგორ გიორგაძე, ვახტანგ ქუთათელაძე** და **ვალერი ხაბურძანია,** რომლებმაც თავიანთი უმოქმედობით აგრეთვე ხელი შეუწყვეს შპს „ჟინერის“ კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას ჟინვალჰესზე; საქართველოს 1994-2003 წლებში შინაგან საქმეთა მინისტრები **კახა თარგამაძე** და **კობა ნარჩემაშვილი,** რომლებმაც არ ჩათვალეს საჭიროდ აემოქმედებინათ თავიანთი ფუნქციური დანიშნულება, რათა აღეკვეთათ შპს „ჟინერის“ ჟინვალჰესზე კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა და თბილისის პრემიერი **გიორგი შერაძე,** რომლებმაც თავიანთი კანონსაწინააღმდეგო უმოქმედობით პირდაპირ ხელი შეუწყვეს შპს „ჟინერის“ კანონსაწინააღმდეგო ფუნქციონირებას ჟინვალჰესზე, კიდევ სხვები, რომელთა დასახელებას აღარ შევუდგები.

2012 წლის 25 დეკემბერს დასრულდა პირველი ინსტანციის სასამართლო დავა „მოსარჩელე“ თეიმურაზ ჭიჭინაძეს და „მოპასუხეს“ – ჟურნალისტური გამოძიება

„დრო და სივრცეს“ და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ შორის. თბილისის სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის მოსამართლემ ასმათ კოხრეიძემ მიიღო გადაწყვეტილება „მოსარჩელის“ სარჩელის არ დაკმაყოფილების შესახებ. ამის შემდეგ მოქალაქე თ.ჭიჭინაძემ რატომღაც დაგვიანებით გაასაჩივრა სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რამაც განაპირობა ის, რომ უკანასკნელმა იხელმძღვანელა მოქმედი კანონმდებლობით და განსახილველად არ მიიღო ხსენებული სარჩელი. იმავე მოქალაქე თეიმურაზ ჭიჭინაძემ არ ჩათვალა საჭიროდ კერძო საჩივრით მიემართა უზენაესი სასამართლოსთვის. ამით დასრულდა შპს „ჟინერის“ მთავარი მესვეურის – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თეიმურაზ ჭიჭინაძის ჩივილი იმის თაობაზე, რომ ჩვენმა სააგენტომ და გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ ჩვენი საგაზეთო პუბლიკაციებით შელახეს მისი ღირსება და საქმიანი ავტორიტეტი.

თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ზემოხსენებულ პუბლიკაციებში მოყვანილ ფაქტებს და მათ დამადასტურებელ დოკუმენტურ მტკიცებულებებს, თეიმურაზ ჭიჭინაძის ე.წ. ღირსება და საქმიანი ავტორიტეტი ჟინვალჰესთან დაკავშირებით, სასამართლოს პირველი ინსტანციის მიერ ფაქტობრივად დადასტურებულია, რომ თეიმურაზ ჭიჭინაძის ჟინვალჰესთან დაკავშირებული საქმიანობა წარმოადგენს სახელმწიფო სახსრების მითვისებას, ანუ თეიმურაზ ჭიჭინაძემ ჩადენილი დანაშაულის გამო უნდა აგოს პასუხი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

აღსანიშნავია, რომ შპს „ჟინერის“ საქმიანობასთან დაკავშირებით საქართველოს გენერალურმა პროკურორმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე 2004 წლის იანვარში სსრკ-ს 182 მუხლის საფუძველზე, რის შემდეგ რამდენიმე დღეში, როცა, კერძოდ, თეიმურაზ ჭიჭინაძის თანხმობით ჟინვალჰესთან მიმართებაში შპს „ჟინერს“ შეუწყდა საიჯარო ხელშეკრულება და თავად შპს „ჟინერი“ მთლიანად გადავიდა სახელმწიფოს საკუთრებაში. სანაცვლოდ კი ხსენებული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც არ შეწყდა, გენერალური პროკურორის „თაროზე“ დაიდო. ამის შედეგად შპს „ჟინერის“ მესვეურებს თეიმურაზ ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით შერჩათ ათი წლის განმავლობაში ჟინვალჰესის მეიჯარის სტატუსით ექსპლუატაციის პროცესში თითქმის 200 მილიონი ლარის ოდენობის მითვისებული სახელმწიფო სახსრები, რომლებიც, თუ გავითვალისწინებთ აღნიშნული დროის განმავლობაში შპს „ჟინერის“ დანაშაულებრივ საქმიანობას ჟინვალჰესზე, რაც ჩვენს მიერ მოპოვებული დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება, ნაწილდებოდა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში.

ე.შევარდნაძის მიერ დაწესებული საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული სტრატეგიული ობიექტების, კერძოდ, ენერგეტიკის და წყალმომარაგების უცხოელებზე გასხვისება სააკაშვილის ხელისუფლებამ დაასრულა. ჩვენი ჟურნალისტური გამოძიება პირდაპირ ადასტურებს იმას, რომ 1994-2004 წლებში სამამულო ენერგეტიკაში ხელ-ფეხი ჰქონდათ გახსნილი საეჭვო პიროვნებებს, რომლებიც ორგანიზებულ მაქინაციებში არავის არ უმხელია. უფრო მეტიც, მათ ფორმალურ ხელმძღვანელს თეიმურაზ ჭიჭინაძეს ფილიპინების საპატიო გენერალური კონსულის წოდებაც „გაუფორმეს“...

შპს „ჟინერის“ მესვეურები ამაყად აცხადებენ, და დღესაც იმავეს იმეორებენ, რომ ისინი ქვეყნის ენერგეტიკის ინტელექტუალურ ძალას წარმოადგენენ და სწორედ მათმა „ინტელექტუალურმა კაპიტალმა“ განაპირობა ჟინვალჰესის კომპლექსის ვითომც ნორმალური მუშაობა ქვეყანაში არსებული მძიმე ენერგეტიკული კრიზისის დროს და იმავე დროს უზრუნველეყო მოსახლეობის სასმელი წყლის შეუფერხებელი მომარაგებაც, რაც ზემოაღნიშნული ფაქტების და მათი დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე, სრული სიცრუეა. ამ ამბის სიცრუეს ისიც ადასტურებს, რომ თბილისი და მისი გარეუბნები სასმელი წყლით დღესაც შეფერხებით მარაგდება, არსებობს მიწოდების გრაფიკები, რაც, უწინარესად, შპს „ჟინერის“ ე.წ. საქმიანობის შედეგიც არის, რადგან მან არა მარტო არ აღადგინა ჟინვალჰესის სადერევაციო გვირაბი (არ მოახდინა მისი დაზიანებული ორ კილომეტრამდე სიგრძის ნაწილის სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია), არამედ ყველანაირად შეეცადა ხსენებული გვირაბის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საკითხი თვითდინებაზე მიეშვა. ეს მაშინ, როცა შპს „ჟინერის“ მესვეურებისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ დედაქალაქსა და მის გარეუბნებს სასიცოცხლოდ ესაჭიროება სასმელი წყლის უწყვეტი მიწოდება.

როგორ მოახერხეს, თითქოსდა რიგითმა ენერგეტიკოსებმა მართლმსაჯულებისთვის თავის დაღწევა, სწორედ ისე, როგორც ეს ხდებოდა ჩვენს უახლოეს ისტორიაში, და ახლაც არაერთი ფაქტია იმისა, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი თავიანთ პირად ინტერესებს სდებენ კორუფციულ საქმეებში, მაინც გაუგებარია.

ამ შპს-ს მესვეურები არიან არა ინტელექტუალები, როგორც ისინი უწოდებენ თავიანთ თავს, არამედ ბოროტი ძალა. ისინი კარგად მოერგნენ იმ პერიოდში ქვეყანაში დანერგილ ეკონომიკისთვის მავნე, სამამულო ენერგოსისტემაში არსებულ ე.წ. ურთიერთჩათვლების პრაქტიკას. მათი ძირითადი მიზანი გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურის მითვისება იყო და 2005 წლამდე გრძელდებოდა. 2005 წლიდან კი, როგორც აღვნიშნეთ, მათი პარპაში კი არ აღიკვეთა, არამედ მხოლოდ ჟინვალჰესთან დაკავშირებით მათი დაუსჯელობით დასრულდა. კორუფციონერები კი დღესაც ენერგეტიკის სფეროში მოღვაწეობენ, თავაწეულები ამაყად დააბიჯებენ საზოგადოებაში, თავს იწონებენ აგარაკებითა და „ჯიპებით“, რადგან დარწმუნებულები არიან, რომ მათი დანაშაულებრივი საქმიანობა ვითომ ხანდაზმულია და ამის გამო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა აღარ დაეკისრებათ, თავიანთი „საქმიანი გამოცდილებითა და სიბრძნით“ სხვებს „მოძღვრავენ“.

ჩვენი სააგენტოს ჟურნალისტური გამოძიების მასალების მიზანია, თავისი წვლილი შეიტანოს ქართული საზოგადოების გამოფხიზლებაში, იმ საზოგადოებისა, რომელმაც გადაჭრით თქვა უარი გადატრიალებისა და ე.წ.რევოლუციების მხარდაჭერაზე და სურს სამართლიანი და ობიექტური ქმედებების საფუძველზე გახდეს საქართველოს განვითარების საწინდარი, სადაც დამკვიდრებული იქნება დამოუკიდებელი და სამართლიანი მართლმსაჯულება, რომლის პირობებში უზრუნველყოფილი იქნება ადამიანების დაცვა, დამნაშავეთა მხილება და მათთვის საკადრისი სასჯელი.

ჩვენი ზემოხსენებული ჟურნალისტური გამოძიების საგაზეთო პუბლიკაციების (2012 წლის ივლისამდე) შედეგად ჟინვალჰესის ამჟამინდელი მფლობელი „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერი“ (რომელიც 2008 წლიდან ეუფლება ქალაქ თბილისის და მისი გარეუბნების სასმელი წყლისა და კანალიზაციის სისტემას და აგრეთვე „ჟინვალჰესს“, იძულებული გახდა ჩაეტარებინა სარემონტო სამუშაოები ხსენებული გვირაბის სამასმეტრიან მონაკვეთზე, რამაც ერთი მხრივ, განაპირობა ის, რომ 2012 წლის ივლის-სექტემბერში დედაქალაქის უდიდეს ნაწილს მიეწოდებოდა თბილი და არა ცივი, არასაკმარისად გაფილტრული სასმელი წყალი მკაცრი გრაფიკით, რაზეც უკმაყოფილებას გამოხატავდა მოსახლეობა და მეორე მხრივ, დედაქალაქს და მის გარეუბნებს დღეს მიეწოდება ცივი და ნორმალურად გაფილტრული სასმელი წყალი.

მიუხედავად ამისა, ჟინვალჰესის სადერევაციო გვირაბის მდგრადობის და უსაფრთხოების საკითხი დღესაც საგანგაშოა და, მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო (მინისტრი კ.კალაძე) არანაირ რეაგირებას არ ახდენს, რაც იმით გამოიხატება, რომ მის მიერ უგულებელყოფილია შპს „თბილწყალკანალის“ (რომელშიც შედიოდა „ჟინვალჰესი“) გასხვისების ხელშეკრულება, რის შედეგად შპს „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერის“ საქმიანობა საქართველოში ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების დაცვის მიზნით არანაირად არ კონტროლდება, რაც პირდაპირ მიანიშნებს, რომ მინისტრი კახი კალაძე არ არის დაინტერესებული, რომ თბილისის და მისი გარეუბნების სასმელი წყლით მომარაგება ტექნიკური თვალსაზრისით მდგრადი და უსაფრთხო გახდეს.

ჩვენი პუბლიკაციის შედეგად ვიმედოვნებთ, რომ ქვეყნის ფართო საზოგადოება სათანადო ყურადღებას მიაქცევს დედაქალაქისთვის სასიცოცხლო ობიექტის –„ჟინვალჰესის“ ნორმალური ფუნქციონირების საკითხს და თავის სათქმელს დროულად იტყვის, რათა აცილებულ იქნას მოსალოდნელი კატასტროფა – „ჟინვალჰესის“ სადერევაციო გვირაბის მწყობრიდან გამოსვლა. ამავდროულად ვიმედოვნებთ, რომ საგამოძიებო ორგანოები ყველა ღონეს იხმარენ საიმისოდ, რომ არსებული და მოპოვებული ფაქტების მტკიცებულებების საფუძველზე მოახდინონ რეაგირება შპს „ჟინერის“ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით და გამოიტანენ სათანადო დასკვნა, რომლის საბოლოო განსჯას სასამართლო მოახდენს.

თენგიზ ჩხიკვაძე,
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“ დირექტორი

უნახავმა რა ნახაო...

◎ ცოტას წავუფველეტონებ...

გველი შაპი ქობულეთში?!

ბათუმი შარშან ევროპა იყო, წელს კი ევრაზია

კაცი ამ სათაურს რომ დახედავს, შეიძლება იფიქროს, ამის დამწერს, ეტყობა, კრამიტი აქვს დაცურებული, თორემ ქობულეთში გველეშაპი (ვეშაპი რომ ეთქვა, კიდევ ჰო) საიდან მოელანდა, ან კიდევ ბათუმი თუ შარშან ევროპა იყო, ასე ნაუცბათევად ევრაზიაში რორგორ გადასკუპდაო. გთხოვთ, მოთმინება იქონიოთ, პატივცემულო მკითხველო, ჯერ გავარკვიოთ, წერილში რის თქმას ვაპირებ და მერე განსაჯოთ, ვის კრამიტი აქვს დაცურებული და ვის კიდევ სინდის-ნამუსი.

ლაპარაკია ერთ მეტად გახმაურებულ ქართველ ბიზნესმენზე, კერძოდ, ბატონ თემურ ჭყონიაზე, რომელმაც მსოფლიოში ასევე მეტად გახმაურებული „კოკა-კოლას“ წყალობით მილიონები კი დააგროვა, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენებური სინდის-ნამუსისგან (რომ არაფერი ვთქვათ ევროამერიკულ სინდისზე) სრულიად „ფეხშიშველა“ დარჩა. ამის დასტურად გამოდგება ჭყონიას მიერ ამ რამდენიმე წლის წინათ ქობულეთში ყოფილ სანატორიუმ „საქართველოს“ ტერიტორიაზე აშენებული ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, რომლისთვისაც სახელის დარქმევისას აღარ გაახსენდა თავის ქართული წარმომავლობა და ფეშენებელური ნაგებობა ინგლისური აბრით („გეორგია პოლოსე ნოტელ“) დაამშვენა.

ამას კიდევ აიტანდა კაცი (ნაცების ბატონობის წლებში ამისთანები აგვიტანია?), მაგრამ ქართველების გატყავების ფასად დაგროვილი მილიონებით აშენებულ ზღაპრულ სასტუმროში იმავე გატყავებულ ქართველს რომ ეზოში შესვლისა და ზღვაურის სუნთქვის უფლებას წაართმევ, აბა როგორი მოსათმენია?

უნდა მოითმინოთ, ბატონებო, აბა როგორ გინდათ, ფიქრობს ბიზნესმენი, რადგან საცხოვრისად საბაზრო ეკონომიკა აირჩიეთ, კეთილი ინებეთ და იმასაც შეეგუეთ, რომ ამ სასტუმროსთან ერთად მთელი მისი შემოგარენი, ზღვა თუ გზა, ჩემი პირადი საკუთრებაა და თუ არ მსურს, შიგაც არ შეგასუნინებთო. ფიქრობს კი არა, ამას რეალურადაც აკეთებს. ამ ერთი კვირის წინათ პირადად შევესწარი, სასტუმროს ფორმიანმა დამცველმა როგორ უცერემონიოდ გამოაპანღურა ბავშვიანი ქალი, რომელიც სასტუმროს ეზოზე გავლით ზღვის სანაპიროზე გასვლას ლამობდა.

— რატომ გამოგაბრუნათ მცველმა? — ვკითხე ქალბატონს, რომელიც ერევნიდან ჩამოსული დამსვენებელი ინგა მანუკიანი აღმოჩნდა.

— ვერ გეტყვით, — მითხრა შეცბუნებულმა, — მიზეზი არ აუხსნია. მითხრა აქ გავლა აკრძალულიაო და მეც დავემორჩილე. არ მესმის ქართველების მხრიდან ეს როგორი სტუმართმოყვარეობაა. მეგონა მე და ბავშვი გემრიელად დავისვენებდით, ესენი კი ზღვაზე გასვლასაც გვიკრძალავენ.

სომეხ დამსვენებელს ჩვენი სახელოვანი ბიზნესმენის ნაცვლად მოვუბოდიშე და სასტუმროს გადასწვრივ ქუჩის პირას ჩამომჯდარ მამაკაცს გამოველაპარაკე.

— ეტყობა, თქვენც დამსვენებელი ბრძანდებით, — ვეუბნები ლურჯ შორტებსა და ყვითელ მაისურში გამოწყობილ მსუქანას.

— არა, ბატონო, აქაური ვარ, ძირძველი ქობულეთელი. ეს ეზო და სახლი, რომლის წინაც ვზივარ, ჩემი საკუთრებაა.

— მერე, არ გრცხვენიათ ქობულეთელ მესაკუთრეებს?

— რისი უნდა გვრცხვენოდეს? — გაიკვირვა მსუქუნამ.

— იმისი, რომ ბინებს აქირავებთ, ფულს შოულობთ, დამსვენებლებს კი ზღვით სარგებლობის უფლებას არ აძლევთ.

— მაგას ჩვენ, ქობულეთელებს, გვსაყვედურობთ, ბატონო?

— აბა ვის ვუსაყვედუროთ?

— ვისა და ქვეყნის პირველ ბიზნესმენად აღიარებულ, მის აღმატებულება ბატონ თემურ ჭყონიას, რომელიც პირადი ფუფუნებისა და მილიარდების მიღმა ვერაფერს ხედავს, თავი ხმელეთისა და ზღვის მპყრობელად წარმოუდგენია და მის სამფლობელოში არა თუ ადამიანს, ჩიტსაც ვერ გადაუფრენია.

— მაგრამ ხომ არიან ადამიანები (ქართველები თუ უცხოელნი), რომლებიც მის სასტუმროში ნებიერად ისვენებენ?

— არიან, როგორ არ არიან, ჩემო ბატონო, მასავით ფულითა და სიმდიდრით გაზულუქებულნი, მაგრამ ასეთები ხომ თითზე ჩამოსათვლელნი არიან? ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ერთი ღამის გათევაში 1000 დოლარსაც კი არ იშურებენ, მაგრამ რა ქნან უბრალო მოკვდავებმა, რომელთაც ყველაფერი მოიკლეს იმისთვის, რომ რამდენიმე დღით დაესვენათ ზღვის ლაჟვარდოვან გარემოში და ამის უფლებასაც არ აძლევენ. ვინ მისცა ბატონ ჭყონიას იმის უფლება, რომ მათ ეს სიამოვნება აუკრძალოს?

— თქვენ რა, გინდათ ჭყონია ქობულეთის გველეშაპად წარმოაჩინოთ?

— ნამდვილად ასეა. ადრე ზღაპრებში ვკითხულობდით გველეშაპის ამბავს, რომელიც სოფელს წყალს არ აძლევდა, ახლა ჭყონიამ სახე იცვალა და ზღვის გველეშაპად მოგვევლინა. გაიბერა, ნამეტანი გაიბერა, ბატონო. სწორედ მაგისთანებზეა ნათქვამი — უნახავმა რა ნახაო.

— როგორ, კაცო, მაგ ყურუმსაღმა გზასთან ერთად ზღვაც გადაკეტა?

— აბა რას ვლაპარაკობ, შარშან სასტუმროს ისედაც უშველებელ ეზოს ჭყონიამ სიგრძეში მთელი 200 მეტრი კიდევ წაუმატა და დავით აღმაშენებლის გამზირის გასწვრივ თითქმის ერთკილომეტრიანი გზა აქაური მაცხოვრებლებისა და დამსვენებლებისთვის ზღვაზე გაუვალი გახადა. ახლა ჩვენც და მოაგარაკეთაც ზღვაზე გასასვლელად ამ მანძილის ფეხით შემოვლა გვიწევს, მაშინ, როდესაც ზღვა ფაქტობრივად ცხვირწინა გვაქვს.

— ასე თუა, ხალხო, რატო ხმას არ ამოიღებთ?

— ქვეყანა მაგისია და ჩვენ ვინ რას მოგვისმენს? ჭყონიას, როგორც ზღვის მესაკუთრე შეიხს შეეფერება, მეზობლები შარშან პირადად ვეახელით, ავუხსენით ჩვენი გაჭირვება, მაგრამ ზედაც არ შემოგვხედა. ბოლოს ამოღერღა, მეზობლების სია შეადგინეთ და მხოლოდ თქვენ დაგრთავთ ჩემი ეზოდან ზღვაზე გასვლის ნებასო.

— ჰოო?

— ჰო, ვითომ მოწყალება მოიღო. კაცური ნამუსი რომ არ აწუხებდა, აქამდეც ვიცოდით, მაგრამ ამხელა ბიზნესმენს ლოგიკაც თუ არ უვარგოდა, არ გვეგონა. თავად განსაჯეთ, ამ ლოგიკით როგორ უნდა აგვეხსნა დამსვენებლებისთვის, რომ ადგილობრივებს ზღვაზე გასვლის უფლება გვეძლეოდა, მათ კი ეკრძალებოდათ...

— კაცო, იცით რა მაკვირვებს? — ვეუბნები, — ეს ჩვენი პრეზიდენტი წარამარა აჭარაში რომ დარბის, ნუთუ ამ ყველაფერს ვერა ხედავს?

— იჰ, ამბობ რა (გაეცინა), ჭყონია სწორედ მაგ პრეზიდენტის წყალობით გაგვიბლატავდა, თორემ ამდენმს როგორ გაბედავდა.

— რას გულისხმობთ?

— რას აღარ, ჩემო ბატონო, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი იმას, რომ ჭყონიას ამ სასტუმროს 75-პროცენტიან წილში თურმე სააკაშვილი უზის.

— თქვენ საიდან იცით?

— მარტო მე კი არა, ეს ამბავი მთელმა ქობულეთმა იცის. ალბათ სიმართლეა, თორემ სხვა შემთხვევაში ჭყონია პრეზიდენტის ცხვირწინ ასე ატრუებული კვიცივით როგორ ირბენდა? მიწა და სასტუმრო რომ მაგის საკუთრებაა, გასაგებია, მაგრამ ზღვასაც თუ დაისაკუთრებდა, ამას ვინ წარმოიდგენდა. აი, გავიდეთ და ნახეთ, პლაჟი და ზღვაც კი შემორაგული აქვს, რათა დამსვენებელმა შემთხვევით მის ტერიტორიაზე არ შეცუროს და ბიზნესმენის საკუთრებას საშიშროება არ დაემუქროს.

— ადამიანები გასაგებია, მაგრამ დელფინები და თევზები „საზღვრის“ დარღვევისგან თავს როგორ იკავებენ?

— მეტი რა ჩარაა (ეღიმება), არ შეიკავებენ და ჭყონიასეული კანონმდებლობის დარღვევისთვის პასუხს მთელი სიმკაცრით აგებენ...

თანამოსაუბრეს დავემშვიდობე და შინ მიმავალმა ერთგვარად ვინანე, რომ პრეზიდენტი ამ ჭუჭყიან საქმეში გარეული ვიხილე. ეტყობა, არ უნდა მეგრძნობინებინა მკითხველისთვის, რომ ნაცები სააკაშვილის თავკაცობით სასტუმროებს, გზებსა თუ ხიდებს კი აშენებდნენ, მაგრამ ამის პარალელურად ყოველივე წმინდასა და კაცურს, ტრადიციულსა და ზნეობრივს საგულდაგულოდ ანგრევდნენ. თუმცა, თავად სააკაშვილი ცდილობს საწინააღმდეგო დაგვიმტკიცოს და წარამარა გვმოძღვრავს: ხომ გეუბნებოდით, რომ ესენი (მეოცნებეებს გულისხმობს) მოვიდოდნენ და ქვეყანას დაანგრევდნენ. აი, მოვიდნენ და ანგრევენ კიდეც, ჩვენს მიერ დაწყებული საუკუნის პრობლემები შეაჩერეს, უკვე აშენებული ევროპა კი ევრაზიად აქციეს. მაგალითად, ბათუმი შარშან ევროპა იყო, წელს კი ევრაზია(!).

სასწრაფოდ უნდა გავრეკოთ ხელისუფლებიდან ეს მგრეველები, თორემ აშენებულ, ცივილიზებულ ევროპულ საქართველოს ისევ საბჭოეთის გზას გაუყენებენ. ეს სიტყვებიც, რა თქმა უნდა, სააკაშვილს ეკუთვნის, ოღონდ ეგ არის, რომ იმ გასარეკთა შორის პრეზიდენტს, როგორც ყოველთვის, საკუთარი თავი ამჯერადაც გამორჩა!

ოთარ ხუციშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

ქართველი სამხედროები ავღანეთში გაემგზავრებიან

ვაზიანში, გუშინ ქართველი სამხედროების ISAF-ის მისიაში გაცილების ცერემონიალი გაიმართა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს , ცერემონიალი ვაზიანში, IV ქვეითი ბრიგადის სამწყობრო მოედანზე გაიმართა. საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის და ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამხედროები უკვე მზად არიან ავღანეთში მისიის შესასრულებლად.

ქართველ სამხედროებს სიტყვით მიმართა გაერთიანებული შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ირაკლი ძნელაძემ. მან ჯარისკაცებს მისიის წარმატებით შესრულება და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება უსურვა.

პირადმა შემადგენლობამ და მოწვეულმა სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის დროს დაღუპულ ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს. ქართველი სამშვიდობოები მამა გაბრიელმა დალოცა და ავღანეთში საერთაშორისო ოპერაციის წარმატებით განხორციელება უსურვა. კაპელანი ქართველ სამშვიდობოებს ავღანეთშიც მიყვება.

31-ე და ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონების რამდენიმე სამხედრო მოსამსახურე და ქართველი ინსტრუქტორები, რომლებმაც ჯარისკაცები მისიისთვის მოამზადეს, ბრიგადის გენერალმა ვახტანგ კაპანაძემ „გენერალ მაზნიაშვილისა“ და „გენერალ კვინიტაძის“ მედლებით დააჯილდოვა. პოლკოვნიკმა ძნელაძემ, ფართომასშტაბიანი სწავლებების დაგეგმვისა და მართვისას გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმისა და ინიციატივისთვის, ამერიკელ ინსტრუქტორთა ჯგუფის მეთაურს, ვიცე-პოლკოვნიკ რიჩარდ კრავიერს მედალი „გენერალი მაზნიაშვილი“ გადასცა. ევროპაში აშშ-ის საზღვაო ქვეითი ძალების სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა რიჩარდ ტრაიონმა ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს, ვიცე-პოლკოვნიკებს რობერტ არღვლიანსა და ფრიდონ ტერეღაძეს ISAF-ის მისიის წარმატებით შესრულებისათვის ამერიკული უწყებრივი მედლები „ბრინჯაოს ვარსკვლავი“ გადასცა.

უსაფრთხოების ხელშეწყობის საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში მონაწილე სამშვიდობოების გაცილების ცერემონიალს საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი პირები და საქართველოში აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდი დაესწრნენ. ღონისძიებაზე იმყოფებოდა ასევე, აშშ-ის ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის შტაბის უფროსი, გენერალი ჯეიმს ბათერვორთი.

31-ე და ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონები ერთი თვის განმავლობაში, როტაციის წესით, III ქვეითი ბრიგადის 33-ე და IV ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონებს ჩაანაცვლებენ.

ცრუ შეტყობინების გამო, არასრულწლოვანის მშობელი 1500 ლარით ღაჯარიმდება

14 წლამდე ასაკის პირის მიერ ტერორიზმთან დაკავშირებული ცრუ შეტყობინების განხორციელების შემთხვევაში, დადგება მშობლის პასუხისმგებლობა - 1500 ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში ასეთი ქმედების განმეორების შემთხვევაში, არასრულწლოვანის მშობელს 2500 ლარი დაეკისრება. შსს მიერ პარლამენტში ინიცირებულ, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების პროექტში ამ მიმართულებით დამატებითი ცვლილებები შედის.

არასრულწლოვანის ცრუ შეტყობინებასთან დაკავშირებით მშობლის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი კოდექსის იმ მუხლში გაიწერება, რომელიც არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების მოვალეობის შეუსრულებლობაზე სწორედ მშობლის პასუხისმგებლობას აყენებს.

ინტერპრესი

◎ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

„ტყე შეუნახე შვილებსაო“... და არა მერაბიშვილებსაო

საქართველოში ტყეს მთელი ტერიტორიის 40 პროცენტზე მეტი უკავია. მაგრამ მისი არაეფექტური მართვის გამო, წინა ხელისუფლებამ დარგი იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, საბიუჯეტო შემოსავლები იმდენად მცირეა, რომ ის თავის თავსაც ვერ ირჩენს — ამბობენ სპეციალისტები.

2004 წელს დარგში რეფორმები დაიწყო, მისი ინიციატორი იყო ბიძინა გიორგობიანი, — გვიხსნის პროფესორი ლევან გვაზავა. მისი თქმით, იმდროინდელ მთავრობას ტყისადმი მხოლოდ მომხმარებლური დამოკიდებულება ჰქონდა: რაც შეიძლება მეტი მოეჭრათ და გაეყიდათ. ყოველივე ეს ხდებოდა სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის გაუთვალისწინებლად. ვინც მათ (წინა ხელისუფლებას) ხელს უშლიდა, ყველა ჩამოიშორეს. ამ დანაშაულებრივ პოლიტიკას შეეწირა არა მარტო ბიძინა გიორგობიანი, არამედ სატყეო მეურნეობები და იქ დასაქმებული პროფესიონალი მეტყევეები და მთელი სისტემა, ამტკიცებს პროფესორი.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲮᲐᲜᲫᲐᲠᲘ ᲩᲐᲛᲝᲬᲔᲠᲡ...

ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ მომხმარებლური პოლიტიკა განპირობებული იყო მერქანსა და შეშაზე მოსახლეობის მოთხოვნილების ზრდით. რა დროსაც მართვის პრინციპების დარღვევამ პირველ რიგში ტყიდან მერქნით სარგებლობის „უწყვეტობაში“ ჰპოვა ასახვა, — განმარტავენ სპეციალისტები და იქვე დასძენენ — სრული განუკითხაობა გამეფდა შეშის რესურსების გამოყენების სფეროშიც. წინა ხელისუფლებამ ვითარება იმ დონემდე მიიყვანა რომ ექსპერტებს საჭიროდ მიაჩნიათ სპეციალური სამთავრობო კომისიის შექმნა.

ლ. გვაზავას გადმოცემით, ბოლო 15 წელიწადია არ ჩატარებულა ტყეების აღრიცხვა. ხის ჭრაზე ლიცენზიებს წინა მთავრობა ახლობლებსა და პოლიტიკური ერთგულების მიხედვით გასცემდა. ლიცენზიანტები პროფესორის მოსაზრებით, ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ, რაც შეიძლება მაღალხარისხიანი მერქანი დაამზადონ, ნაკლები დანახარჯებით, რაც ტყისათვის ზიანის მიუყენებლად შეუძლებელია. ნაცვლად იმისა, რომ განავითარონ სატყეო მეურნეობა, მერქანი საზღვარგარეთ გააქვთ, რაც ქვეყნის ბიუჯეტისთვის წამგებიანია.

ლიცენზიანტებთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია „სენის“ კოორდინატორს რეზო გეთიაშვილს. მისი აზრით, გასულ წლებში გამხმარი, დაავადებული ხეების მოსაჭრელად ლიცენზიების გაცემამ მანკიერი სახე მიიღო. ლიცენზიების პირობები უხეშად ირღვეოდა. ვისაც სანიტარიული ჭრის ლიცენზია ჰქონდა, იმათ ეს საქმე ბიზნესად აქციეს. კოორდინატორი აკონკრეტებს: შედის სიგნალები, რომ სადაც დაავადებული ხე უნდა მოიჭრას. სანიტარიული ჭრის ნებართვის მქონენი გარშემო ყველა ხეს ჭრიან. დაავადებული კი ადგილზე რჩება.

ახლობლობის ლიცენზიების ნიშნით გაცემის ტიპიური მაგალითია ბორჯომი-ხარაგაულის ტყე-პარკში ვანო მერაბიშვილის ბიძისთვის გაცემული ნებართვა. შეესივნენ მერაბიშვილები დედაბუდიანად ამ უნიკალურ ზონას და უმოწყალოდ იწყეს უკანონო ჭრები. განმკითხავი არავინ იყო. ვინ გაბედავდა, ვანიჩკა ხომ სააკაშვილის მთავრობის ხერხემალი იყო. ტყე ნადგურდებოდა. განსაკუთრებით ეს თვალში საცემი იყო დაბა და კურორტ აბასთუმნის მიმდებარე ტერიტორიებზე. გაქრნენ ტყის ბინადარი ცხოველები და ფრინველები. მომრავლდა წყალდიდობები, მეწყერი. იმატა ქარის სიძლიერემ. საქმე იქამდე მივიდა, რომ შეშფოთებულმა ადგილობრივებმა გარემოს დამცველ არასამთავრობოებთან ერთად უკანონობის შესაჩერებლად რამდენიმე საპროტესტო აქცია მოაწყვეს. მაშინ ბოროტისმქმნელებმა ტყეს ცეცხლი წაუკიდეს. რამდენიმე ასეული ჰექტარი დაიწვა. უკანონოდ მოჭრილი ხეებიც „სტიქიურ უბედურებაში მოყოლილთ“ მიაწერეს. ამ ვითომ „ხანძარს“ უყოყმანოდ დაეთანხმა გარემოს დაცვის მაშინდელი მომღერალი მინისტრი გოგა ხაჩიძეც. პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ. არც დღეს უჩანს რაიმე პირი იმას, რომ ამ საკითხით ვინმე ინტერესდებოდეს.

პირად საუბარში ერთ-ერთმა აბასთუმნელმა რეინჯერმა სინანულით გვითხრა. ეს ტყე ათეული წლების განმავლობაში იზრდებოდა. მოსახლეობა მას შვილივით უვლიდა. ასე გადადიოდა თაობიდან თაობაზე. მერაბიშვილმა და მისმა კლანმა რაღაც წლებში ბოლო მოუღეს ამდენი ხნის ნაამაგარს. ტყეს სიმღერებსაც უძღვნიდნენ, — ამბობს ჩვენთან მოსაუბრე — „ტყე შეუნახე შვილებსაო“, აქ არ არის ნათქვამი, მერაბიშვილებსაო.

ᲒᲐᲛᲔᲩᲮᲔᲠᲔᲑᲐ - ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ

„მწვანეთა მოძრაობის“ ლიდერი ნინო ჩხობაძის გადმოცემით, როცა ტყის სიხშირე მცირდება (დიდია ჭრა), ტყე ნათდება. ამ შემთხვევაში ხის დაავადებები უფრო ადვილად ვრცელდება. დაბურულ ტყეში ამის ალბათობა ნაკლებია. ასე რომ, თუ ტყეში ბევრ დაავადებულ ხეს წავაწყდებით, ეს ნიშნავს, რომ უკანონო ჭრებია ჩატარებული, — დაასკვნის ექსპერტი.

წინა ხელისუფლების ტყეებისადმი მომხმარებლური უსულგულო დამოკიდებულების გამო ლაგოდეხის ნაკრძალში წაბლის ხეების 70 პროცენტი დაავადებულია. იქ 22 პროცენტი უკვე ხმობადი ხეა. ტყიბულში 800 ჰა-ზე დაზიანებულია წაბლის კორომები. ზესტაფონში კი 5 ათასი ჰექტარია დაზიანებული, მარტვილში, ჩხოროწყუსა და წალენჯიხაში გამხმარია კოლხური ბზის კორომები. არადა, წაბლიცა და კოლხური ბზაც უძვირფასესი სამერქნე მცენარედ ითვლება და ორივე, როგორც გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი, შეტანილია „წითელ წიგნში“.

ᲘᲮ. 11 ᲒᲕ.

◎ ᲜᲐᲑᲝᲓᲕᲐᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ...

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲮᲐᲖᲘᲜᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ „ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲘ?“

ᲘᲠᲘᲜᲔ ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ ᲓᲔᲓᲐᲩᲔᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ 1 ᲚᲐᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲧᲘᲓᲘᲐ“

***„ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲨᲘ** აჩვენეს ახლა პარლამენტში მათი მთავარი, რომელიც დარბის და ხმებს აგროვებს, ხმებს ყიდულობს ჩვენგან. აჩვენეს ერთი პარლამენტარი, რომელიც ჩვეულებრივი ქურდბაცაცა, დიდი მომპარავია. ეს ის ქალია, იუშენკოს რომ უთვლიდა საპნის ფულს.*

მე ვნახე მერაბიშვილი, რომელსაც მილიარდების მოპარვას აბრალებენ და ოჯახი როგორც ცხოვრობს. გუშინ მთელმა საქართველომ ნახა მათი შემადგენლობა, როგორ ცხოვრობს და ეს ხალხი უკითხავს ლექციებს ვილაცეებს. მე მგონი ყველაფერი თავდაყირა დადგა“, — განაცხადა გუშინ სააკაშვილმა.

პრეზიდენტს თავის გამოსვლაში აღნიშნული დეპუტატი ქალის სახელი და გვარი არ დაუსახელებია, თუმცა ცნობილია, რომ კვირას, „პოსტ სკრიპტუმში“ დეპუტატ ირინე იმერლიშვილის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ სიუჟეტი გავიდა. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ის ვანო მერაბიშვილის მშობლებთან იმყოფებოდა, სადაც საკუთარი თვალით ნახა, რა მოკრძალებულად ცხოვრობენ ისინი. როგორც მიხეილ სააკაშვილმა საპარლამენტო უმცირესობასთან შეხვედრაზე განაცხადა, „მერაბიშვილის მშობლებს პატარა მიწის ნაკვეთი აქვთ, ძალიან მაგრად მოვლილი და ძალიან უბრალოდ და ხელმოკლედ ცხოვრობენ“.

ბრალდებას პასუხობს უმრავლესობის ლიდერი ირინე იმერლიშვილი და აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილს მოუწევს იმ კითხვებზე პასუხის გაცემა, რომელიც თავად გაასაჯაროვა.

For.ge-სთან საუბრისას იმერლიშვილი ამბობს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებისგან განსხვავებით, დასამალი არაფერი ჰქონია და ამიტომ გადაწყვიტა, რომ დეკლარაციაში ყველაფერი ღიად დაეფიქსირებინა.

— ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲠᲝ ᲓᲐᲣᲗᲛᲝ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲘᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲮᲐᲠᲗ ᲥᲣᲠᲓᲑᲐᲪᲐᲪᲐ...

— სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ოფიციალურად იყვნენ ბიუჯეტის კანონიერი ქურდები. 1 კილოგრამი შაქარი არ გაიყიდებოდა ისე, რომ წილი არ მისვლოდა სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს. ეს მე ოფიციალურად, დოკუმენტებით დავადასტურე, როცა სააკაშვილის საბიუჯეტო ხარჯებზე ვისაუბრე. სააკაშვილს შევახსენებ, რომ მისგან განსხვავებით სახელმწიფო ქონება დედაჩემისთვის 1 ლარად არ გამისხვისებია.

ჩემდა სამწუხაროდ, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ნამდვილად არაა კარგი, რაც უფრო ახლოვდება მისი თანამდებობიდან წასვლის დრო, სულ უფრო კომიკურ ფიგურას ემსგავსება პრეზიდენტი. ძალიან სასაცილოა, როდესაც ის მე და ვანო მერაბიშვილს გვადარებს ერთმანეთს. ძალიან კარგად ხედავს ყველა ყველაფერს, მათ შორის — ჩვენი ამომრჩეველიც. მე რამე დასამალი რომ მქონოდა, არავინ მაძალებდა ამ გადაცემაში მონაწილეობის მიღებას. ძალიან ნათლად შეგვიძლია ვნახოთ, რა ფასად არის შეძენილი ესა თუ ის ქონება.

რაც შეეხება სააკაშვილს და მერაბიშვილს, მათგან განსხვავებით, ჩემი შვილებისთვის ბიუჯეტიდან არ გადამიხდია სწავლის საფასური, არც მისი შს მინისტრისგან განსხვავებით არავინ არ გამომიგდია აგარაკიდან და ჩემი ოჯახი იქ არ შემიყვანია და არც დედაჩემისთვის არ გადამიცია სახელმწიფო ქონება 1 ლარად. ასე რომ, მან თავი უნდა იმართლოს და უპასუხოს იმ კითხვებს, რა საბუთებიც მას დაუდეს.

— სწორედ ამ ფაქტის გახმაურებას ხომ არ უკავშირდება ის, რომ პრეზიდენტმა საჯაროდ დაგადანაშაულათ ქურდობაში?

— მართლა ძალიან რთულია მიშა სააკაშვილის გამოსვლების პროგნოზირება, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ მე დასამალი არაფერი მქონდა, მისგან განსხვავებით ყველა კითხვაზე მაქვს პასუხი, სააკაშვილმა კი დღემდე ვერც ერთ კითხვას ვერ გასცა პასუხი. **ის და მისი ხელისუფლება სახელმწიფო ხაზინის ოფიციალური „კანონიერი ქურდები“ არიან. ის სახელმწიფო ხაზინას უყურებდა როგორც საკუთარ საფულეს. ისე მოიხმარდა ამ ფულს და ისე არიგებდა საჩუქრებს აქიდან, თითქოს, მისი პირადი ყოფილიყო.**

იგი თავისი და თავისი ოჯახის წევრთა პირად კეთილდღეობაზე ისე ხარჯავდა სახელმწიფო ფულს, რომ საერთოდ, ერთი წუთით არ ფიქრობდა ამაზე და დღემდე პასუხები არ აქვს ამ კითხვებზე, მაგრამ სააკაშვილს მოუწევს ამაზე პასუხის გაცემა. როგორც თავად ამბობს, იუშჩენკოს კი არ ვუთვლიდი ფულს, არამედ სააკაშვილს ვუთვლიდი სახელმწიფო ხაზინიდან გაფანტულ ფულს, რომელიც არამიზნობრივად აქვს დახარჯული. მე მესმის მისი გამწარება, მაგრამ ყველა კითხვას უნდა გაეცეს პასუხი.

— რაც შეეხება კიდევ ერთ ბრალდებას, პრეზიდენტი ამბობს, რომ პირადად თქვენ ხმებს ყიდულობთ „ნაციონალური მოძრაობისგან“, შეგიძლიათ ახსნათ რაზე საუბრობდა პრეზიდენტი?

— მგონია, მას სხვა რაღაცა აწუხებს. რამდენადაც მისი საუბრიდან მივხვდი, საუბარი იყო პარლამენტარების ხმებზე, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით არიან პარლამენტში გასული და აპირებენ ხმა მოგვცენ ჩვენ, მათ შორის — საკონსტიტუციო ცვლილებებზე. გიორგი მარგველაშვილს და ბიძინა ივანიშვილს ხმების საყიდელი არაფერი სჭირს. მსგავსი არაფერი დაფიქსირებულა არც უცხოელი და არც ადგილობრივი დამკვირვებლებისგან. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ საარჩევნო გარემო თვისობრივად არის გაუმჯობესებული და სრულიად სხვა რეალობაში გვიწევს ჩვენ დღეს საარჩევნო კამპანიის ჩატარება.

— აპირებთ თუ არა სააკაშვილის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას სასამართლოში?

— ნამდვილად არ ვაპირებ, რადგან მართლა კომიკურია მისი გამოსვლები. მართლა გული მწყდება, რომ ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი ისეთ ფრაზებს ისვრის, რომელიც სასაცილოდაც კი არ ყოფნის მოსახლეობას და, სხვათა შორის, მის მხარდამჭერებსაც კი. მე არ ვთვლი, რომ თავის მართლების რეჟიმში უნდა ჩავდგე სააკაშვილის წინაშე. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხელფასის გარდა არც ერთი თეთრი სარგებელი არ მაქვს არც მე და არც ჩემს ოჯახს. ვარ იპოთეკარი, ძალიან მაღალი სესხი მაქვს აღებული ბანკიდან. არ ვაპირებ თავის მართლებას, არა მგონია, რომ საამისოდ მქონდეს საქმე.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კრიზისი და ორმაგი სტანდარტები

ზაფხულში, მსხვილი ბეჭდვითი გამოცემებისთვის ჭეშმარიტების ჟამი დადგა. 5 აგვისტოს მოხდა ის, რაც ამერიკელების უმრავლესობას უბრალოდ წარმოუდგენლად მიაჩნდა: გრემების ოჯახმა, რომელიც 80 წელზე მეტხანს იყო The Washington Post-ის მფლობელი, გაზეთის მიყიდვა Amazon-ის შეფის, მილიარდერ ჯეფ ბეზოსისთვის გადაწყვიტა.

ამ მოვლენამ სიმბოლური წერტილი დაუსვა იმ პროცესს, რომელიც დაახლოებით ათი წლის წინ დაიწყო. ჯერ ერთი, გრემები ყოველთვის დემოკრატები იყვნენ, მაშინ, როდესაც ბეზოსი ულტრალიბერალია. მეორეც, და რაც ყველაზე მთავარია, ხელმძღვანელობის შეცვლა გაზეთების და ჟურნალების ეკონომიკური და პროფესიული მოდელის კრახზე მიუთითებს.

Amazon-ის შეფი, რომელიც უხეში სოციალური პოლიტიკის დახმარებით მსოფლიოში უმსხვილესი ინტერნეტ-მაღაზიის ხელმძღვანელია და Google-თან, Apple-sfy, Facebook-თან და სხვა კომპანიებთან „შეთქმულებით“ დაღუპა ტრადიციული პრესა, დღეს ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე პატივსაცემი ამერიკული გამოცემის მმართვის სადავეებს იგდებს ხელში. როგორც ეს ერთ-ერთმა ამერიკელმა ანალიტიკოსმა თქვა, აისბერგმა „ტიტანიკი“ იყიდა.

„ფუფუნების საგანი“

არც თუ დიდი ხნის წინ, თავად ჯეფ ბეზოსი ამბობდა: „ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: 20 წლის შემდეგ გაზეთები აღარ იარსებებს. შეიძლება ის დარჩეს, როგორც ფუფუნების საგანი ზოგიერთ დიდ სასტუმროში, სადაც კლიენტებს შესთავაზებენ მას განსაკუთრებული მომსახურების სახით“. მან აზრი შეიცვალა, თუ, უბრალოდ, სხვა რამ აქვს მიზნად?

The Washington Post-ის ყიდვით, ჯეფ ბეზოსმა შეიძინა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული გაზეთი ჟურნალისტური გამოძიებების და მიუკერძოებლობის თვალსაზრისით. 1971 წელს, გაზეთმა, The New York Times-თან ერთად გამოაქვეყნა ცნობილი „პენტაგონის დოკუმენტები“, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვიეტნამის ომის დასრულებაში. გარდა ამისა, სწორედ მან გამოსცა მასალა უოტერგეიტის სკანდალზე, რომელსაც 1974 წელს პრეზიდენტის პოსტიდან რიჩარდ ნიქსონის გადადგომა მოჰყვა. მართალია, გამოცემამ შეიძლება დაკარგა კიდეც წარსული ბზინვარება (ოცი წლის განმავლობაში, მან დაკარგა მკითხველების ნახევარი, ხოლო მისი საშტატო შემადგენლობა 1000-დან 640 ჟურნალისტამდე შემცირდა), თუმცა ის მაინც ასრულებს ერთ-ერთ საკვანძო როლს საერთაშორისო პრესაში და ახლახანს თავი გამოიჩინა ედუარდ სნოუდენის მასალების ნაწილის გამოქვეყნებით.

მილიარდერების მიერ გაზეთების ყიდვა, როგორც ჩანს, პრესისთვის გადარჩენის ახალ გზად იქცა. ყოველ შემთხვევაში, იმ გამოცემებისათვის, რომლებიც არ დაიხურნენ.

გარდა ამისა, ამერიკელი ნეოკონსერვატორების სპონსორებმა, ძმებმა კოჰებმა დიდი ხანია რაც თვალი დაადგეს The Los Angeles Times-ს და The Chicago Tribune-ს, უორენ ბაფეტმა რამდენიმე რეგიონალური გაზეთი იყიდა, ხოლო Google-ს და ნიუიორკის მოქმედ მერ მაიკლ ბლუმბერგს თვალი უჭირავთ The New York Times-ზე, თუმცა ჯერჯერობით გაზეთი გასაყიდად არ გამოუტანიათ.

რა თქმა უნდა, არც ერთ ამ ბიზნესმენს არ აქვს იმის ილუზია, რომ გაზეთების ყიდვით საკუთარ შემოსავლებს გაზრდის. გარდა ამისა, ჯეფ ბეზოსმა The Washington Post ნაღდი ფულით იყიდა (250 მილიონი დოლარი, მისი ფულადი სახსრების დაახლოებით 1%), რომ ეს არ აისახოს Amazon-ის აქციების საბირჟო კურსზე.

მონოპოლია

კოლეგებისმსგავსად, ისიც, უწინარეს ყოვლისა ,გავლენის ინსტრუმენტს ყიდულობს. ასეთი სტრატეგიული პოზიცია ამერიკის დედაქალაქში შეიძლება ძალიან სასარგებლო აღმოჩნდეს, როდესაც Amazon-ს სასამართლო გამოძიება ემუქრება მისი მონოპოლიური პოზიციის, პირადი ცხოვრების შებღალვის და გადასახადების გადახდისთვის თავის არიდების გამო. იმ შემთხვევაშიც, თუ ჯეფ ბეზოსი არც შეუკვეთავს მასალებს „მის“ ჟურნალისტებს, ვაშინგტონელ პოლიტიკოსებს ეცოდინებათ, თუ ვისთან აქვთ საქმე! Amazon-ს ვაშინგტონში ბევრი მეგობარი გაუჩნდება.

ჯეფ ბეზოს აშკარად ახსოვს ის, თუ როგორ გამოაქვეყნა ქსელში სტენფორდის უნივერსიტეტის ორმა სტუდენტმა 2004 წელს ვიდეოჩანაწერი, სადაც წარმოდგენილი იყო პრესის განვითარების პროგნოზი 2014 წლამდე. ფილმი მთავრდებოდა იმით, რომ მთელ ინტერნეტ სივრცეს იპყრობს კორპორაცია Googlezon — Google-ის და Amazon შერწყმის შედეგი. გარდა ამისა, მათი ვერსიით, The New York Times-ს მთლიანად უარი უნდა ეთქვა საქაღალდე ვერსიაზე და მხოლოდ ქსელში განახლებულიყო: ბეჭდვით მასალებს საერთაშორისო ელიტის მხოლოდ რამდენიმე მხცოვანი წარმომადგენელი მიიღებდა. ასეა თუ ისე, დღეს ეს ფანტაზია შეიძლება რეალობად იქცეს.

ზოგიერთები იტყვიან, რომ ძველი პრესის მეპატრონეებიც, რომლებმაც მისი წყალობით დიდი ქონება დააგროვეს, მაგალითად, რენდოლფ ჰერსტი და რუპერტ მერდოკი, თავისუფლებების გულმხურვალე დამცველები არ ყოფილან. გარდა ამისა, გაზეთების შეძენა მილიარდერის მიერ, რომელსაც საქმისათვის აუცილებელი ხარჯების გაღება შეუძლია, ყველა შემთხვევაში სჯობს მათ დახურვას. მაგრამ ეს ცალკე ისტორიაა.

ფასიანი ახალი ამბები

საძმე ის არის, რომ სხვა შესაძლო სცენარიც არსებობს. მაგალითად, The New York Times-მა გარკვეულ წარმატებას მიაღწია გადარჩენისათვის და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ეს ერთ-ერთი პირველი გაზეთი იყო, რომელმაც უარი თქვა ისეთ ილუზიაზე, როგორიცაა უფასო ახალი ამბები. ახლა ის ფულს ითხოვს თავისი ძველებურად შესანიშნავი მასალებისათვის, თანაც ფასები მუდმივად იზრდება. ამის შედეგად, ბოლო დროს მან ფინანსებში წონასწორობას მიაღწია.

გარდა ამისა, გამოცემაში მიხვდნენ, რომ „გაზეთი“ მისთვის ძალიან ვიწრო ცნებად იქცა. ამიერიდან, The New York Times — ხარისხიანი ინფორმაციის წარმოების ცენტრია, რომელიც ყველა შესაძლო არხით (ქაღალდი, ინტერნეტი, პლანშეტები, სმარტფონები და ა.შ) ვრცელდება. The New York Times, ეყრდნობა რა დამსახურებულად მოპოვებული პრესტიჟის შესაბამისად, მიისწრაფვის მსოფლიო ბრენდად გადაქცევისკენ და ქსელურ რესურსებს ხსნის ბრაზილიის, ჩინეთის და სამხრეთ აფრიკისათვის. მოკლედ, ხელმძღვანელობა გულხელდაკრეფილი არ ზის.

იმავდროულად, სწორედ ეს პრესტიჟი და რეპუტაცია უწყობს ხელს საქმიანობის ახალი სფეროების (სემინარები, კონსულტაციები და ა.შ) განვითარებას და, შესაბამისად, შემოსავლების ახალი წყაროების გაჩენას. მაგრამ შეძლებს კი გამოცემა საკმარისი ფულადი რესურსების მობილიზებას იმისათვის, რომ რეკლამის და საქაღალდე ვერსიის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლების შეუქცევადი ვარდნა აანაზღაუროს? ჯერ კიდევ რთულია ამის თქმა, თუმცა, ყველა შემთხვევაში ცდა ბედის მონახევრეაო.

მაგრამ, ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ხარისხიანი ინფორმაცია სულ უფრო გაძვირდება, და, შესაბამისად, ორიენტირებული იქნება შეზღუდულ აუდიტორიაზე, ელიტაზე, რომელიც გადახდისათვის მზად იქნება, მაშინ როცა უფასო მასალები მოიცავს ინფორმაციის მხოლოდ აუცილებელ მინიმუმს ადამიანთა ფართო მასებისათვის. ასე გამოიყურება მეორე მხარე პრობლემისა, რომელსაც საინფორმაციო სივრცეში მიმდინარე გარდაქმნები აჩენს.

ინფორმაცია ძლიერთა სამსახურში თუ საინფორმაციო უთანასწორობა?

ჩვენ ცივილიზაციაში ყველაფერი დაიწყო ბანკირი ფუგერების წერილებით, რომელშიც მოთხრობილი იყო ახალი ამბები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენებზე, რასაც ნელ-ნელა, მე-19 საუკუნეში პრესის აყვავება მოჰყვა, რომელიც საბოლოო ჯამში გაიაფდა რეკლამიდან მიღებული შემოსავლების წყალობით. ამ ცნობებმა მოქალაქეებს იმის შესაძლებლობა მისცა, რომ მკაფიო მოსაზრებები ჩამოეყალიბებინათ, განსაკუთრებით არჩევნების პერიოდში.

პოლიტიკოსებს, საწარმოთა ხელმძღვანელებს, ბანკირებს, ინვესტორებს, პროფკავშირების წევრებს და ზოგადად ყველას, ვინც კი საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა, ყოველთვის სჭირდება ინფორმაცია. თანაც კარგი ხარისხის ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, დიდი გამოცემების პრობლემები და კონფიდენციალურ მასალებთან დაბრუნება მათთვის, ვისაც აქვს საშუალება და სურვილი იმისა, რომ ამაში საკმაოდ დიდი თანხები გაიღოს, უკან გადადგმული ნაბიჯია.

სამყაროში, რომელსაც ჯეფ ბეზოსი გვიწინასწარმეტყველებს, ხარისხიან გაზეთებზე მხოლოდ მდიდარ და მხცოვან ელიტას მიუწვდება ხელი. ასეთ სამყაროში, ადამიანების დიდ უმრავლესობას კი ასეთი არჩევანი რჩება: ან ფინანსისტების და პოლიტიკოსების მიერ გაკონტროლებული გამოცემების მიკერძოებული ინფორმაცია, ან აშკარად დაბალი ხარისხის უფასო მასალები.

მოკლედ, ხარისხიანი პროდუქტი მდიდრებისათვის და უხარისხო — ღარიბებისათვის. პირადად მე რასაც უნდა ვფიქრობდე ამის შესახებ, ჯერ კიდევ ათი წლის წინათ, როდესაც უმსხვილესი გამოცემების აქციები ყველა ბირჟაზე ფასობდა, ასეთი რამ არ იყო. ასეთი სიტუაცია ანადგურებს ნამდვილი საზოგადოებრივი აზრის და, შესაძლოა, ნამდვილი დემოკრატიის საფუძვლებს.

ინფორმაცია ძლიერთა და მდიდართა სამსახურში თუ საინფორმაციო უთანასწორობა? ვფიქრობ, მესამე გზა უნდა ვეძებოთ.

ბერნარ პულე

Le Monde.fr

დედამიწის ზურგზე

აშშ-ის მცხოვრებლებმა პატიოსან მაწანწალას 100 ათასი დოლარი შეუგრძვეს. მან დააბრუნა ზურგჩანთა ფულით

ბოსტონელმა უსახლკარო ბლენ ჯეიმსმა იპოვა ზურგჩანთა, რომელშიც იყო 41 ათასი დოლარი და პასპორტი ჩინეთის მოქალაქის სახელზე. იმის ნაცვლად, რომ მიეთვისებინა ნაპოვნი, პატიოსანმა ღარიბმა კაცმა იგი პოლიციაში მიიტანა. მას შემდეგ, რაც ჯეიმსის საქციელის შესახებ საუბარი დაიწყეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ამერიკელებმა დაიწყეს შესაწირების შეგროვება ბომჟის სასარგებლოდ.

* * *

მექსიკაში წყალდიდობისა და ზვავების მსხვერპლთა რიცხვი 80 კაცამდე გაიზარდა

მთლიანად ქარიშხალ „ინგრიდისა“ და ტროპიკულ შტორმ „მანუელისგან“ დაზარალდა დაახლოებით 1,2 მილიონი კაცი. ამას გარდა სულ ცოტა 58 კაცი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება ზვავის ჩამოწოლის შემდეგ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში. ტალახის ნაკადმა დაფარა დასახლებული პუნქტის ნაწილი ჰერეროს შტატში.

* * *

აშშ-ის და ირანის ურთიერთობანი თბება: რუჰანიმ ობამას მისთვის გაგზავნილი წერილი შეაფასა, როგორც „პოზიტიური და კონსტრუქციული“

ირანი არასოდეს შექმნის ბირთვულ იარაღს, განაცხადა ენბიესისთვის მიცემულ ინტერვიუში ამ ცოტა ხნის წინათ არჩეულმა პრეზიდენტმა. მან დაუმატა, რომ მის მთავრობას აქვს ყველა შესაძლებლობა დასავლეთთან მოლაპარაკების საწარმოებლად ირანის ატომურ პროგრამასთან დაკავშირებით.

* * *

იტალიის სენატის სპეციალურმა კომისიამ ხმა მისცა ბერლუსკონის გარიცხვას პარლამენტიდან

ამასთან ერთად ეს არ არის საბოლოო გადაწყვეტილება: ხალხის ჩრეულის პარლამენტიდან გარიცხვის პროცედურა იტალიაში რთული და მრავალსაფეხურიანია. სპეციალურ კომისიაში გაიმართება კიდევ ერთი კენჭისყრა. ამის შემდეგ თავისი აზრი უნდა გამოთქვას სენატმა სრული შემადგენლობით.

◎ ინტერნეტიდან

„ამათ სახელზე ფულიც ხომ არ მოგვეჭრა“?

„სომხურ ენას უნდა მიენიჭოს რეგიონალური სტატუსი; ყველა სადავო ეკლესია სომხეთის საპატრიარქოს გადაეცეს; გაიხსნას სომხური სკოლები და მიეცეთ უკვე არსებულ სომხურ სკოლებში სომხეთის ისტორიის შესწავლის უფლება“, — ამ მოთხოვნებით მოძრაობა „ერთიანი ჯავახკის“ ყოფილმა ლიდერმა ვაჰაგნ ჩახალიანმა 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს მიმართა.

და აი, კომენტარები ინტერნეტიდან:

„მოდით, წაიღეთ, ყველაფერი თქვენი ყოფილა. ჩვენ სად წავიდეთ, პატივცემულებო? ეჰ, ქართველი კაცის რბილი ბუნების და გაუტანლობის რა ვთქვა, თორემ“...

„ამათ ხომ ყველაფერი უნდა მიითვისონ“...

„ამას ცოცხი ხომ არ უნდა ერთ ადგილას“...

„გაგიჟდება კაცი, ყველას პრეტენზია აქვს და ჩვენ ვინ დაგვიცავს, რამეზე პრეტენზია რომ განვაცხადოთ, ან პატარა ხმა ამოვიღოთ რამეზე..“

„ამათი „გულავი“ აღარ უნდა დამთავრდეს?!“

„საქართველო რომ არა, რუკაზეც არ იქნებოდნენ“...

„მერე ხომ დაგვიფასეს, და საერთოდ ებრაელების გარდა ვინ დაგვიფასა ცხოვრება, ყველას გამოყოფა ან წართმევა უნდა. ებრაელები კი სადაც წავიდნენ, იქაც ქართული წესებით ცხოვრობენ, ქორწინებასაც ქართული ადათით იხდიან, ანუ ქართველობენ“...

„ბიძინამ როგორც გამოუშვა, ისე გასცეს პასუხი“...

„ამას წინათ, ქუთაისში ვიყავი ჩასული და აქედან წასულ ებრაელს პატარა შვილები ჰყავდა ჩამოყვანილი და ეუბნებოდა, რომ იცოდეთ, ეს ჩვენი მეორე სამშობლო არისო“...

„ენა და სკოლები კი არა, უნდა გაყარო ეს ერი, როგორც მათ გაყარეს აზერბაიჯანელები. მაგათთვის შეიძლებოდა და ჩვენთვის არ შეიძლება? ბაგრამიანის დივიზიამ არ მოუღო ბოლო აფხაზეთს? მეტი სიმკაცრე უნდა გამოვიჩინოთ იმათ მიმართ, ვინც ამ ერს ალაპარაკებს ამდენს“.

„ერთი ამათ დამიხედეეე, ამათ სახელზე ფულიც ხომ არ მოგვეჭრა, ჰაااა?“

ნატა ნიბლაძე

◎ წიგნი

ჯანო ჯანელიძის ერთტომეული



სამშობლოს სიყვარული იყო მისი ლექსების მთავარი თემა. ერთი გენახათ, რა ემოციით, რა შემართებით საუბრობდა ხოლმე ჩვენი ჯანო მშობელ კუთხეზე — აფხაზეთზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებზე, იმ სიმდიდრეზე, რასაც სწორედ ეს მრავალფეროვნება ხატავდა ერთიანი საქართველოს სურათს.

ჯანო ჯანელიძე აღარ არის ჩვენ გვერდით, მაგრამ ლექსი ხომ ცოცხლობს? სიყვარულით ნაქარგი სტრიქონები ხომ ანთია ჯერაც? წავიდა გულდაწყვეტილი აფხაზეთის ტრაგედიის გამო, მაგრამ, წავიდა მაინც იმედიანი, რომ აფხაზეთი იყო და იქნება გულსისლძარღვი საქართველოსი.

აი, აფხაზეთის შემოქმედებითი კავშირის ინიციატივით ჯანო ჯანელიძის „ერთტომეული“ გამოსულა მისი სიკვდილის შემდეგ. წიგნში შესულია პოეტის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები, ამდენად, აქ ძალიან კარგად ჩანს პოეტის მსოფლმხედველობა და დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი. ერთტომეულში ბევრი კარგი ლექსია, რომლებშიც ჩანს ჯანო ჯანელიძის — ნაღდი ქართველისა და „ლექსის კაცის“ მღელვარე ცხოვრება.

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირი აწყობს ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ჯანო ჯანელიძის ერთტომეულის პრეზენტაციას.

წიგნის პრეზენტაცია შედგება 23 სექტემბერს, 17 საათზე მწერალთა სახლში (მაჩაბლის ქ. №13).

◎ გამოვიდა

არდავინყება იყოს...

თსუ-ის გამომცემლობაში ელ. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ეგიდით დასტამბული წიგნი „თამაზ გრიგალაშვილი“ ცხოვრებიდან ნაადრევად წასული ამ თვალსაჩინო ქართველი ფიზიკოს-ექსპერიმენტატორის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, კოსმოსური სხივებისა და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის გამოჩენილი მკვლევრის 80 წლისთავს მიეძღვნა.



ერთი წლის წინათ ფიზიკის ინსტიტუტში ამ თარიღთან დაკავშირებული საიუბილეო საღამო გაიმართა, რომელზეც კოლეგებმა, თანამშრომლებმა, მოწაფეებმა, ახლობლებმა დიდი პატივისცემითა და სითბოთი გაიხსენეს ბატონი თამაზი. პატივისცემითა და სიყვარულით იყო გამსჭვალული შეკრებაზე წაკითხული, რუსეთიდან, საფრანგეთიდან, აშშ-დან გამოგზავნილი სპეციალისტთა წერილებიც (ჩვენი გაზეთი თავის დროზე წერდა ამ სხდომის შესახებ).

მაშინ გაჩნდა იდეა თამაზ გრიგალაშვილზე წიგნის შექმნის შესახებ და აი, ეს იდეა მშვენივრად აღმოჩნდა რეალიზებული შთამბეჭდავი კრებულის სახით. აქ ვნახულობთ შესანიშნავი მკვლევრისა და პიროვნების ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველ ფურცლებს, რომელთა დიდი ნაწილი იმათი კალმიდან გამოვიდა, ვისაც ბატონი თამაზის გვერდით უცხოვრია და უშრომია. აქ დასამახსოვრებლად ცოცხლდება ოჯახზე, სამშობლოზე, მეცნიერებაზე უსაზღვროდ შეყვარებული, რაინდული სულისკვეთების კაცის, სამუშაოზე, საქმეზე დაფერფლილი კაცის ნათელი სახე.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ თამაზ გრიგალაშვილის ქვრივის, ქალბატონ იზა ვაშაყმაძის წერილი, მართლაც სულის შემძვრელად დაწერილი „შტრიხები ჩემი მეუღლის პორტრეტისათვის“. ყველა ქვრივისთვის მისურვებია სახელოვანი ქმრის ხსოვნის ამგვარი გუშაგობა...

დაბოლოს: წიგნში შევიდა „საქართველოს რესპუბლიკის“ რამდენიმე პუბლიკაცია ბატონი თამაზის გამორჩეულ შვილებზე...

თამაზ ეგანოიძე

◎ დედაქალაქი

ტბორები თბილისის ქუჩებში

თემა, რომელზეც მინდა ყურადღების გამახვილება, პოეტისა არ იყოს, არ სდევს უამთა სვლას და იგივეა მარად და მარად. მხედველობაში მაქვს თბილისის ბევრი ადგილი, სადაც მდგომარეობა, თვით კომუნისტთა დროიდან მოყოლებული, სასიკეთოდ არ იცვლება.

ასეთი რამდენიმე ადგილია მარჯანიშვილის ქუჩაზე, რომელთაც საშველი, რაც თავი მახსოვს, ვერა და ვერ დაადგა. ერთი ასეთი მეტროს სადგურის ზემოთ, წლების მანძილზე გათხრილი, ჯერაც ხეირიანად ამოუვსები თხრილია, როცა აღმაშენებლის პროსპექტის პარიზის ელისეს მინდვრების დარად გადაკეთების ბაქი-ბუქა პროექტი დასრულდა, ამ, ცენტრალური ქუჩიდან ოდნავ მოშორებულ ადგილზე სამუშაოები „სამიანზეც“ არ შეუსრულებიათ, ახლა კი, როცა ბატონი სააკაშვილი „პრეზიდენტობის შემოდგომის“ ბოლო კვირებს ითვლის, იმ ადგილის მოწესრიგება, რომლის გასწვრივ უამრავი გარემოვაჭრე დგას ყოველ ცისმარე დღეს, ცხადია, არავინ ფიქრობს. მეორე „უპატრონო“ ადგილი ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის შესასვლელის მოპირდაპირე მხარესაა —ერთი მხარე გზის სავალ ნაწილთან შედარებით დაბალია, ყველა წვიმის შემდეგ შიგ წყალი დგება, თითქმის უწყვეტ ნაკადად მიმავალი მანქანების ზოგიერთი მძღოლი საკუთარი ღირსების შელახვად მიიჩნევს აქ სვლის ოდნავ მაინც შეჩერებას და ფრთხილად გავლას, ამიტომაც ბევრი ფეხით მოსიარულე იქაურობას „ჩურჩხელასავით“ ტლაპოში ამოვლებული ტოვებს. მესამე ასეთი „სუსტი წერტილი“ მეორიდან ოცდაათიოდე მეტრშია, მარჯანიშვილისა და წინამძღვრიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე: აქაც საკომუნიკაციო ჭაც ქუჩის სავალი ნაწილის ქვევითაა და აქაური გუბის შემოსვლა და გამავალი მანქანების ჯიგიტი მძღოლებისგან თავის თავდაცვა საკმაო სიმკვირცხლეს მოითხოვს.

რადგან ქუჩებში გუბეების პრობლემას მივადექი, თბილისში კიდევ ერთ, ფეხით მოსიარულეთათვის მოძრაობის სირთულით გამორჩეული ადგილის ამბავსაც მოვყვები, რომელიც თბილისის ბორჯომის ვაგზალსა და უნივერმაღ „ბავშვთა სამყაროს“ მიმდებარე საბითუმო მაღაზიების ერთი პატარა, უსახელო, სულ 150-იოდე მეტრის სიგრძის ქუჩაზეა. ყოველი წვიმის შემდეგ ეს ქუჩა პატარა ტბორად გადაიქცევა ხოლმე. რომელზეც კაცს თუ რეზინის ჩექმა ან ბოტები არ აცვია, გასაბერი ნავით თუ გაივლის.

ყოველივე ის, რის თაობაზე ზემოთ მქონდა საუბარი, არაერთი ათეული წელია ასეა, ამ ადგილებს არც ადგილობრივი ხელისუფლება აქცევს რაიმე ყურადღებას, მით უმეტეს, არც ქალაქის „მესვეურებს“ ადარდებთ. ასეთი უყურადღებოდ მიგდებული ადგილის თბილისის ყველა რაიონში, დარწმუნებული ვარ, ყველა უბანში იქნება არა ერთი და არა ორი. ჰოდა, იქნებ იკადრონ „ხალხის მსახურებმა“ და ცოტა თავიანთ დამსაქმებელ ხალხსაც მიაციონ ყურადღება, რომელიც მათ მსუყე-მსუყე ხელფასებს საკუთარი ჯიბიდან უხდის?

ოთარ ტურაბელიძე,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

◎ ჰოს!

წიგნები „კალოშებში“...

თითქოს დიდი საჩუქარი იყო სახელმწიფო სკოლის მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემა. ამან გამომცემლებში დიდი აურზაური გამოიწვია. მშობლებისათვის ეს ფაქტი მოულოდნელიც იყო და სასიხარულოც, მაგრამ თურმე ისეთი მზაკვრული იდეა ყოფილა ჩადებული, რომ დღეს აურზაური უკვე მშობლებში ატყდა.

აღმოჩნდა, რომ სახელმძღვანელოები ბავშვებს კი არა, სახელმწიფო სკოლის ბიბლიოთეკებს გადაეცათ. მათ კი ისეთი მზაკვრული კანონები ჰქონიათ, რომ თუ წიგნი ხმარებისას დაზიანდა, ბავშვის მშობელს ისეთი ჯარიმების გადახდა მოუწევს, რომ სჯობს ბავშვმა იმ წიგნს თითი არ დააკაროს, რაიმე რომ არ დაუშავდეს. ამან ბავშვებში ისეთი ფსიქოზი გამოიწვია, რომ პატარებმა წიგნების სპეციალურად გადასაკრავ წებოვან დამცველ პლასტიკაში მოთავსება გადაწყვიტეს. ეს პატარებისთვის არც თუ ადვილი აღმოჩნდა და წიგნებმა პირველი დარტყმა სწორედ ამ წებოვანი „საფარველისაგან“ მიიღეს.

კარგად მახსოვს, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დიდი გაჭირვების პერიოდში ფართოდ დაინერგა ფეხსაცმელის დამცავი კალოშები. მათ გარეშე ავდარში გარეთ გასვლა შეუძლებელი იყო, რადგან წვიმისას ფეხის დასველებას ვერ ასცდებოდი.

ძველი ფეხსაცმლის დღეში აღმოჩნდა ახალი სახელმძღვანელო. თუ შესაბამის „კალოშებში“ არ შეფუთე და მისი ხშირი გადაფურცვლისგან თავი არ შეიკავე, სკოლის ბიბლიოთეკიდან ჯარიმას ვერ ასცდები.

ამას ქვია „საჩუქარი ბავშვებს“?

ანალოგიური მდგომარეობაა უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებში. სტუდენტებს ბიბლიოთეკიდან წიგნების გამოტანისას ისეთ პირობებს უყენებენ, რომ ჯარიმების შიშით, ურჩევნიათ წიგნები არ მიეკარონ.

მერაბ ჯიბლაძე,
პროფესორი

◎ ვეტერანის ბედი

„ხიზანაც“ წავიდა

ძართველმა ფეხბურთელმა ზურაბ ხიზანიშვილმა საქართველოს ნაკრებიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. შესაბამისი განცხადება ხიზანიშვილმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. როგორც ხიზანიშვილი წერს, ფაქტია, რომ ამ ნაკრებში მისი ადგილი აღარ არის.

„დიდხანს ვფიქრობდი ამ გადაწყვეტილების შესახებ და მინდა დაგარწმუნოთ, რომ ცხელ გულზე არ მიმიღია იგი. მთელი ჩემი ცხოვრება ფეხბურთს მივუძღვენი და მართლაც ბედნიერი ვარ ამით. უამრავი წარმატება თუ წარუმატებლობა, გამარჯვება თუ მარცხი მახსოვს ამ წლების განმავლობაში, მაგრამ თუ რამეს მივაღწიე, მხოლოდ წარმოუდგენელი შრომისა და თავგანწირვის ხარჯზე. მე დღეს აც ასე ვაგრძელებ ჩემს სპორტულ საქმიანობას, მაგრამ დღეიდან, სამწუხაროდ, უკვე ეროვნული ნაკრების გარეშე. ამ წლების განმავლობაში 400-მდე მატჩი მაქვს ნათამაშები საქართველოს, შოტლანდიის, ინგლისის და თურქეთის უმაღლეს ლიგებში, მაგრამ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ნათამაშები 91 მატჩი ჩემთვის ყველაზე უფრო საამაყოა.

იყო შენი ქვეყნის წარმომადგენელი, გეცვას შენი ეროვნული ნაკრების მაისური ნებისმიერი სპორტსმენისთვის ყველაზე დიდი პატივია. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობრებს, ყველა იმ ფეხბურთელს, ვისთან ერთადაც მქონია პატივი ეროვნული ნაკრების ღირსება დამეცვა. განსაკუთრებული მადლობა ფეხბურთის ქართველ გულშემატკივარს მხარდაჭერისა და თანადგომისთვის. დიდი მადლობა ყველას.

არ მინდა ვინმემ ეს გადაწყვეტილება ბრძოლის ველიდან გაქცევად ჩამითვალოს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ნაკრებში ჩემი ადგილი აღარ არის. მე მივდივარ ეროვნული ნაკრებიდან, მაგრამ ვრჩები ჩემი ქვეყნისა და ჩემი ნაკრების ერთგულ გულშემატკივრად“, — განაცხადა ხიზანიშვილმა.

ბოლო პერიოდში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ხიზანიშვილი ფინეთთან მატჩში განაცხადში არშეყვანის გამო უკმაყოფილო იყო. როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ ფინეთთან მატჩის შემდეგ განაცხადა, ხიზანიშვილმა გუნდთან ერთად ავტობუსით არ იმგზავრა.

გიორგი შოთაძე

◎ ფეხბურთი

აი, კუჭი!

ისე როგორ ჩაივლიდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის სტარტი, ერთხელ მაინც არ გავარდნილიყო მეხი.

მართლაც, ლონდონის „სტემფორდ ბრიჯზე“ შვეიცარიულმა „ბაზელმა“ დაიქუხა, როცა ტაიმბოლით დააჩოქა ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის შარშანდელი ტრიუმფატორი „ჩელსი“ — 2:1. არადა, პირველი ტაიმის შემდეგ ასეთ შედეგს ძნელად თუ იწინასწარმეტყველებდი კაცი, რადგან ლამპარდის ჩინებული გადაცემით ოსკარმა ზედ შესვენების წინ დააწინაურა „არისტოკრატები“.

თამაშის განახლებისთანავე ჟოზე მაურინიუს შეგირდებმა განაგრძეს სტუმართა საჯარიმო მოედნის ალყა, მაგრამ არხეინად ფლანგავდნენ სახიფათო მომენტებს. როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, დაისაჯნენ კიდეც — მურად იაკინის გუნდმა მაქსიმუმი გამოადნო მწირი კონტრიერიშებიდან (აბდულა, შტრელერი).

დღის ცენტრალურ მატჩად მიჩნეული „ნაპოლისა“ და დორტმუნდის „ბორუსიის“ ბრძოლის ბედი გარემოებათა თანხვედრამ გადაწყვიტა. დაგვეთანხმებით, ბუნდესლიგის ბინადართა დაცვის ბურჯების (სუბოტიჩი, ჰუმელსი) ტრავმა და მეკარე ვაიდენფელერის გაძევება, რასაც მათივე მწვრთნელ იურგენ კლოპისთვის აფრიალებული წითელი ბარათი დაემატა, ბევრს გატეხდა წელში — 2:1 (იგუანინი, ინსიგნე: ზუნიგა — საკუთარ კარში).

დანარჩენი შედეგები: „ე“ ჯგუფი. „ჩელსი“ — „ბაზელი“ 1:2, „შალკე“ — „სტიაუა“ 3:0.

„ვ“ ჯგუფი. „ნაპოლი“ — „ბორუსია“ 2:1, „მარსელი“ — „არსენალი“ — 1:2.

„ზ“ ჯგუფი. „ატლეტიკო“ — „ზენიტი“ 3:1, „აუსტრია“ — „პორტუ“ 0:1.

„თ“ ჯგუფი. „ბარსელონა“ — „აიაქსი“ 4:0 (მესიმ სამი ბურთი გაიტანა), „მილანი — „სელტიკი“ 2:0.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

ჯახის ზღურბლთან

რომ იტყვიან, ფინალი ნახევარფინალშიო, ისეა „ევრობასკეტ—2013“-ზე განვითარებული მოვლენების საქმე, სადაც დღეს უმთავრეს ფავორიტთა დიდი ჯახი გაიმართება: ესპანეთი — საფრანგეთი!

მართალია, პლეი-ოფებამდე ორივემ მისცა თავს „გახალტურების“ უფლება და რამდენჯერმე წაიფორხილა კიდეც, მაგრამ როცა ბრძოლა ოლიმპიური სისტემით გაგრძელდა, ბრჭყალები გამოაჩინა და უმოწყალოდ გაუსწორდა მეტოქეს.

ესპანეთი — სერბეთი 90:60.

მოგეხსენებათ, ხუან ორენგას გუნდი ზედიზედ ორჯერ ავიდა სატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე და თუ ამჯერად „ჰეთთრიქს“ შეასრულებს, გაიმეორებს იუგოსლავთა რეკორდს, რომლებმაც საწადელს გასული საუკუნის 80-იან წლებში მიაღწიეს.

თუ გავითვალისწინებთ ფერნანდესის, როდრიგესის, კალდერონისა და გაზოლის ფაქტორს, გამორიცხული არაფერია.

საფრანგეთი — სლოვენია 72:62

საფრანგეთი არასდროს ასულა ოლიმპზე. ჰოდა ვინ, თუ არა პარკერის (28 ქულა), დიაოს, დე კოლოს, ბატუმისა და ჟელაბალის თაობამ, უნდა გატეხოს ნავსი?

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ილარიონ (ლარიკა) ხაზარაძის ხსოვნას



მასთან მეგობრობა გვეამაყებოდა

გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მიწურულს ქართულ საყმაწვილო სპორტში ქუხდა „ტონოს“ — თბილისის განათლების სამმართველოს საკალათბურთო გუნდის სახელი. მოხდა ისე, რომ თბილისის პირველობაზე იგი მრისხანე მეტოქეს თბილისის „დინამოს“ დაუპირისპირდა.

ყმაწვილებთან მატჩში „დინამოს“ ხელმძღვანელობამ მოედანზე უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანა და, ყველას გასაოცრად, დამაცხდა კიდეც.

ამ თამაშის თვითმხილველი მეც გახლდით და ახლაც მახსოვს ორმეტრიანი ვერელი ბიჭის ლარიკ ხაზარაძის თამაში, მისი დამოკიდებულება კალათბურთისადმი, მისი ენთუზიაზმი და უშრეტი ფანტაზია. თბილისის „დინამომ“ სრულიად ახალგაზრდა ლარიკ ხაზარაძე თავის რიგებში ჩარიცხა და ამით გაუხსნა გზა დიდი კალათბურთისაკენ.

არ ვაჭარბებ — ჩვენში კალათბურთი, ფეხბურთთან ერთად, ქართული გონის და ცნობიერების გამოვლინებად ითვლებოდა. საკალათბურთო სპექტაკლის მიმდინარეობისას აზარტისგან თავბრუდახვეულ მაყურებელსა და მოთამაშეს შორის თითქოს ზღვარი იშლება, გუნდი და გულშემატკივარი ერთიანდება და დარბაზს ცეცხლოვანი ემოციები იპყრობს.

კალათბურთის ერთ-ერთმა უთვალსაჩინოესმა წარმომადგენელმა ილარიონ (ლარიკ) ხაზარაძემ ქართული კალათბურთის რამდენიმე თაობის ვარსკვლავების გვერდით ითამაშა, მაგრამ მისი სპორტული კარიერის ბრწყინვალება ამის ფონზეც კი არ გაფერმკრთალებულა.

ახლა ხშირად ახსენებენ ტერმინს „რეფორმატორი“. შორეულ ორმოცდაათიან წლებში ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ლარიკ ხაზარაძის თაობას კალათბურთის რეფორმატორთა ტიტული მოუხდებოდა. იმ პერიოდს ვგულისხმობ, როცა ასპარეზს ოთარ ქორქიასა და ნოდარ ჯორჯიკიასნაირი გიგანტები (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით!) ტოვებენ და მათ ადგილს ქართული კალათბურთის ახალი ლეგიონი იკავებს. ის ლეგიონი, რომელსაც განგებამ განუმეორებელი მისიის აღსრულება დააკისრა: საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორობა და ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში ლეგენდარული მადრიდის „რეალის“ დამარცხება...

ამ მართლაც შთამბეჭდავ ჩამონათვალში საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორობა იქნებ შედარებით მწირ მონაპოვრად მოგეჩვენოთ, მაგრამ რატომ დარჩა იგი ლეგენდად, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

ლარიკ ხაზარაძის სპორტულმა კარიერამ ქართული კალათბურთის ამ ზღაპრულ მერიდიანებზე განვლო. თავის გუნდთან, თბილისის „დინამოსთან და საქართველოს ნაკრებთან ერთად იგი საკალათბურთო მოედანზე დიდ და მცირე სასწაულებს ახდენდა — მოთამაშეც იყო და მებრძოლიც. მაშინ დღევანდელის მსგავსად რეიტინგები და გრადაციები არ არსებობდა, მიმომხილველები და სპეციალისტები სპორტსმენებს გამოკვეთილი თვისებების მიხედვით აფასებდნენ. ამ შეფასების მიხედვით ლარიკ ხაზარაძე მუდამ „სასარგებლო“ იყო. ანუ იგი იყო მოთამაშე, რომელსაც გუნდისთვის ყოველთვის განსაკუთრებული სარგებელი მოჰქონდა არა მარტო შედეგიანობით, არამედ აზარტითა და ბრძოლის ჟინით. ეს იყო ტარანის ტიპის ცენტრი, ოღონდ ფანტაზიითა და მოულოდნელობებით აღსავსე. შეეძლო ერთდროულად ყოფილიყო ცენტრიც, თავდამსხმელიც და მცველიც. იგი სწორედ ერთი იმათგანია, ვინც კალათბურთში უნივერსალური მოთამაშის ცნება დაამკვიდრა. შესაძლოა, სწორედ ეს იყო მისი ყველაზე გამორჩეული ღირსება.

გამოცდილებით ვიცი, რომ ნებისმიერი სპორტსმენის თამაშის ხარისხი არ არის და არც შეიძლება იყოს მუდამ ერთნაირი. თუმცა, ნამდვილი პროფესიონალი იმით გამოირჩევა, რომ არასოდეს ჩამოდის უჩინარ ზღვარს ქვემოთ და ამას ძვალსა და რბილში გამჯდარი კლასით, უდიდესი მონდომებით, საქმისადმი პროფესიული მიდგომით აღწევს. ლარიკ ხაზარაძე სწორედ ამ ტიპის პროფესიონალს განასახიერებდა. ამ ნიშნით ბრწყინავდა თბილისის „დინამოში“ და იმხანად მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დაწინაურებულ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში.

ქართულ კალათბურთს არასოდეს რგებია ისეთი დიადი გამარჯვება, როგორიც წილად ხვდა თბილისის „დინამოს“ ევროპაში გამართულ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში მადრიდის „რეალთან“. ეს იყო კალათბურთის ლეგენდად წოდებული ევროპის უძლიერესი და ყველაზე ტიტულოვანი გუნდი.

ეს-ესაა თამაში დამთავრდა. თბილისის „დინამო“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელია. ბედნიერი ბიჭები ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავენ. მათთან ხანდაზმული თვალცრემლიანი მამაკაცი მიდის და უნდა ყველა სათითაოდ გულში ჩაიკრას. ამბობს, ეს ჩემს ოცდაათწლიან ემიგრაციაში ყველაზე ბედნიერი დღეაო და ლარიკ ხაზარაძეს და გურამ მინაშვილს, მათ თანაგუნდელებს გამარჯვების აღსანიშნავად რესტორანში იწვევს. ბიჭები სიამოვნებით იღებენ მის წინადადებას, მაგრამ არ იციან, რომ მისი შესრულება შეუძლებელია — ყველგანმყოფი საბჭოთა უშიშროების სამსახური „ხალხის მტრებთან“ ურთიერთობას არ დაუშვებს...

ის ხანდაზმული, სამშობლოს მონატრებული თვალცრემლიანი კაცი გრიგოლ რობაქიძეა, ხოლო მისი თანმხლები პირები — შალვა დადიანის პირველი მეუღლე ნინო ჩხეიძე და მენშევიკური მთავრობის მინისტრი სპირიდონ კედია.

ეს შეხვედრა სამუდამოდ დარჩა ილარიონ ხაზარაძის მეხსიერებაში და ხშირად იხსენებდა კიდეც.

ახლა რაც შეეხება 1959 წლის საკავშირო სპარტაკიადის საკალათბურთო ტურნირში საქართველოს ნაკრების ვერცხლის მედლებს: შესაძლოა, ეს ვერცხლი მნიშვნელობით ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ გამარჯვებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყოს და აი, რატომ:

ამ მატჩში იყო ყველაფერი — გაუგონარი აზარტი, თავდადება, დრამა და უცნაური პარადოქსი, როცა ამ ნახევარფინალური მატჩის მიწურულს მოედანზე დარჩენილმა სამმა ქართველმა კალათბურთელმა არათუ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მეტოქის ხუთეულს, არამედ გაიმარჯვა კიდეც. ნუ დაგავიწყდებათ, რომ საუბარია ლატვიის ნაკრებზე, რომელიც თავისი უმდიდრესი გამოცდილებით, ტრადიციებითა და თამაშის კლასით კალათბურთის ევროპულ გრანდად ითვლებოდა. ერთი შეხედვით, ამ თამაშის შედეგი შეიძლება სასწაულს მივაწეროთ, მაგრამ ეს საქმის გაუბრალოება იქნებოდა. სიმართლე ის არის, რომ ექსტრემალურ ვითარებაში ქართველებს შეუძლიათ განსაკუთრებული შთაგონების, აღმაფრენისა და ბრძოლის ჟინის გამოვლინება. ეს სწორედ ის თვისებები უნდა იყოს, რამაც ქართველი ხალხი უმძიმეს ისტორიულ ქარტეხილებში გამოატარა და მომავალშიც ბევრჯერ გაამარჯვებინებს...

1959 წლის საკავშირო ჩემპიონატის ყველაზე პრინციპულ მატჩში თბილისის „დინამომ“ მოსკოვში არმიელთა უძლიერეს გუნდს სძლია. „სოვეტსკი სპორტმა“ ამ მატჩის რეცენზიის სათაურად ასეთი ფრაზა გამოიტანა: „ილარიონ ხაზარაძემ გორდიას კვანძი გახსნა“.

დიახ, ასეთი იყო ილარიონ ხაზარაძე, ჩვენი ლარიკა. შუბლგახსნილი, გულგაშლილი და ხელგაშლილი იგი არასოდეს ხლართავდა ქსელებს და ნასკვავდა კვანძებს. ამიტომაც უყვარდა ყველას, დიდსა და პატარას, ამიტომ ვამაყობთ მასთან მეგობრობით. არისტოკრატიული ჩამომავლობის ოჯახის შვილი იყო და ეს მისი ყოველი მოქმედებიდან ჩანდა — მიმოხვრიდან, მოზომილი სიტყვა-პასუხიდან, ადამიანებთან ურთიერთობიდან. არაჩვეულებრივი მუსიკალური ნიჭითა და იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, თავისი დიდებული სპორტული წარსულით არასოდეს ზედაობდა. მეუღლედაც დიდებული ადამიანი ერგო — ჩინებული ფილოლოგი, უნივერსიტეტის პროფესორი, დიდი ქართველი მწერლის ვასილ ბარნოვის შვილიშვილი ნინო ბარნოვი...

არჩილ გოგელია

დოსიე:

ილარიონ ხაზარაძე დაიბადა თბილისში, 1937 წლის 31 იანვარს. კალათბურთის თამაში დაიწყო 1948 წელს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სპორტულ სკოლაში მწვრთნელ თამარ გეგელაშვილთან. 1955-1965 წლებში გამოდიოდა თბილისის „დინამოში“.

საბჭოთა კავშირის (19609, 1961) ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, სსრ ხალხთა სპარტაკიადის ვეცე-ჩემპიონი (1959) და მესამე პრიზიორი (1956), თბილისის ნაკრების შემადგენლობაში ქალაქის ტურნირებში გამარჯვებული (1959), ვროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962); „დინამოს“ საერთაშორისო ტურნირებისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1960), დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

◎ ხალია ნუ ეხუმრებით!

მელანომა — ეს მეტად აგრესიული ავთვისებიანი სიმსივნეა კანზე, რომელიც ხშირად ხალის ადგილზე ვითარდება.

ბევრი არ აქცევს ყურადღებას ასეთ „გარდაქმნას“ და ფიქრობს, რომ მათს სხეულზე მხოლოდ უვნებელი ლაქაა.

დრო, ავტეხოთ განგაში?

ხალები, ან თუ მეცნიერულ ენაზე ვილაპარაკებთ —ნევუსები, ყველა ადამიანის სხეულზეა. მიიჩნიათ, რომ მათი ძირითადი მასა, 90 პროცენტამდე, 25 წლისთვის ჩნდება. მაგრამ ისინი შეიძლება გაჩნდნენ უფრო გვიანაც — სხვადასხვა მოვლენის გავლენით. მაგალითად, ტიპიური მოვლენაა, როდესაც ისინი ლამის გამონაყარივით ჩნდებიან ფეხმძიმობის დროს. ზოგჯერ ხალი, დროთა განმავლობაში, პირიქით, ქრება. ხალი შეიძლება იყოს ყვითელი, ყავისფერი, შავი. და ეს ყველაფერი ნორმის ფარგლებში, და შესაშფოთებელი არაფერია.

მაგრამ ხდება ხოლმე, რომ ხალი არათანაბრად იზრდება ან იცვლის ფერს, მისი ზედაპირი ხდება „გაპრიალებული“, ან იწყებს სისხლდენას — ესე იგი მასში ხდება ცვლილებები. მეორე ვარიანტი — ჩნდება არაჩვეულებრივი სახის ახალი ხალი. სწორედ ასეთი არაჩვეულებრივი ახალწარმონაქმნები ითხოვენ განსაკუთრებულ ყურადღებას.

არ გამოგრჩეთ, ის შეიძლება კიბოდ გადაიქცეს!..

როდესაც მზე — მტერია

ალბათ, ყველამ იცის, რომ შოკოლადისფერ გარუჯვას ბევრი არაფერი აქვს საერთო ჯანმრთელობასთან. ულტრაიისფერი იწვევს დნმ-ს დაზიანებას და კანის ავთვისებიანი სიმსივნის გაჩენის მთავარი მიზეზია. რაც მეტ ხანს ატარებს შიშველი ადამიანი მზის სხივების ქვეშ, მით უფრო მაღალია არასასიამოვნო შედეგების ალბათობა. დიდი მნიშვნელობა აქვს მზის აქტიურობასაც. შემთხვევითი როდია, რომ დერმატოლოგები დაბეჯითებით გვირჩევენ არ ვიყოთ მზეზე დღის 11-დან 16 საათამდე, როდესაც იგი ყველაზე აგრესიულია.

სხვათა შორის, ბევრი მეცნიერი მელანომის განვითარების რისკს უკავშირებს იმას, რომ საბავშვო და მოზარდის ასაკში ადამიანი ხშირად იღებდა მზის დამწვრობას. იგი კანის მელანოციტებში, პიგმენტის უჯრედებში იწვევს ცვლილებებს, რომლებსაც დროთა განმავლობაში მივყავართ კიდეც ავთვისებიან მდგომარეობამდე. ამითვე აიხსნება ის ფაქტი, რომ შემთხვევების თითქმის 50 პროცენტში მელანომა ვითარდება ფეხებზე — ისინი ხომ ყოველთვის შიშველი აქვთ ბავშვებს ზაფხულში და ყველაზე მეტად განიცდიან მზის გამოსხივების ზემოქმედებას.

უკანასკნელ ხანებში სულ უფრო მეტს საუბრობენ „ხელოვნური მზის“ — სოლარიუმის სახიფათოობის შესახებ. ზოგიერთი მონაცემებით, აქ ერთი სეანსი (ეს კი, როგორც წესი, 5-10 წუთია) პლაჟზე მთელ დღეს უტოლდება! ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ (გერმანია, საფრანგეთი და ავსტრია) და კალიფორნიის შტატმა (აშშ) აკრძალეს კიდეც სოლარიუმის გამოყენება ბავშვებისთვის 18 წლამდე.

რასაკვირველია, მზე — ვიტამინ D-ს წყარო და დეპრესიის საწინააღმდეგო საშუალებაა, მაგრამ დიდი ოდენობით იგი ნამდვილი მტერია. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ულტრაიისფერ გამოსხივებას არ აღიარებდა კანცეროგენად დარიშხანის, მოწევისა და აბზესტის თანაბრად.

სად გავიძცეთ?

შენიშნეთ თქვენს სხეულზე არაჩვეულებრივი ხალი — აუცილებლად მიაკითხეთ დერმატოონკოლოგს. თუ ეს ექიმი მიუწვდომელია, შეიძლება კონსულტაცია მივიღოთ დერმატოლოგთან, ქირურგთან ან ონკოლოგთან. გამოცდილ სპეციალისტს ვიზუალურად შეუძლია განსაზღვროს ნევუსის ხასიათი. ამაში მას სპეციალური ხელსაწყო დერმატოსკოპი ეხმარება. არსებითად ეს არის ძლიერი გამადიდებელი შუშა. როდესაც მასში უმზერს ხალს, ექიმს შეუძლია შენიშნოს ყველაზე პატარა დეტალებიც კი, რომელთა დანახვაც შეუიარაღებელი თვალით უბრალოდ შეუძლებელია. თუ ეჭვი აქვს დიაგნოზში, ექიმი მოაწყობს ჰისტოლოგიურ გამოკვლევას, რომელიც საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ კეთილთვისებიანი, წინაარაკეთილთვისებიანი და არაკეთილთვისებიანი ახალწარმონაქმნის დამახასიათებელი ნიშნები.

სხვათა შორის, თუ გინდა, რომ მოიშორო ხალი ესთეტიკური თვალსაზრისით, გადაწყვეტილება ასევე დერმატოონკოლოგმა უნდა მიიღოს დერმატოსკოპიის შემდეგ, რაც საშუალებას იძლევა შევარჩიოთ ოპტიმალური მეთოდი, ოპტიმალური საზღვრები და ამოღების სიღრმე.

მელანომად გადაქცევა კიდეც რომ არ მოხდეს, მედიცინის თვალსაზრისით იშორებენ იმ ხალებს, რომლებიც მუდმივად განიცდიან ხახუნს, ზეწოლას, ტრავმირებას. აგრეთვე იმათ, რომლებიცაა საზარდულის მიდამოებში და იღლიის, მკერდქვეშ, წელზე, მამაკაცებს კი აქვთ სახეზე, პარსვის ადგილებზე.

თუ ხალს, რომელიც მელანომაში გადაიზარდა, იშორებენ ადრეულ სტადიაში, სრული გამოჯანმრთელების ალბათობა 95 პროცენტს აღწევს, დრო გამოგვეპარა — მხოლოდ 20 პროცენტს.

მიაძციეთ ყურადღება

როგორ ამოვიცნოთ სახიფათო ხალი

ექიმები გვირჩევენ, რეგულარულად ვათვალიეროთ ჩვენი სხეული უცნაური ხალების ან ახალწარმონაქმნთა გამოვლენის მიზნით. ადვილად რომ განვსაზღვროთ, რამდენად ტიპურია ან არატიპური ხალი, შეიმუშავეს სპეციალური მეთოდი, რომელსაც ABCDE ეწოდება. ყოველი ასო ამ აბრევიატურაში ნიშნავს (ინგლისურად) საკვანძო ნიშანს, რასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება.

A (asymmetry) — ასიმეტრია. ხალი არათანაბრად იზრდება გვერდზე. ნორმაშია, თუ ხალის შუაგულში გავავლებთ წარმოსახვით ხაზს, რომლის მხარეები სიმეტრიულია.

B (border litegutartty) — არათანაბარი კუთხეები. ის შეიძლება იყოს დასერილი, ბუნდოვანი, და ეს მელანომის ერთ-ერთი ნიშანია. ნორმის დროს ხალს თანაბარი კუთხეები აქვს.

C (color) — ფერი. მისმა არაერთფეროვნებამ, შავი, წითელი, ნაცრისფერი წინწკლების არსებობამ უნდა დაგვიძაბოს ყურადღება. ნორმაში ხალი მთლიანად ერთი ფერისაა.

D (diameter) — დიამეტრი. თუ ხალი დიამეტრში 6 მილიმეტრია (ეს დაახლოებით ფანქრის საშლელისოდენაა), იგი სპეციალისტის ყურადღებას მოითხოვს.

E (evolving) — ცვალებადობა. მხედველობაშია ნებისმიერი დახასიათების ცვალებადობა: ფერის, ფორმის, ზომის — ეს ყოველივე არის იმის საბაბი, რომ მივაკითხოთ დერმატოლოგს. ნორმაში ხალები უცვლელია მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

თავიანთი ხალები ასე თუ ისე რეგულარულად უნდა დაათვალიეროს ყველამ უკლებლივ, მაგრამ არის ადამიანთა კატეგორია, რომლებმაც უნდა გაასამონ კიდეც მათდამი ყურადღება. ეს, უწინარეს ყოვლისა, არიან ისინი, ვისი ნათესავებიც დაავადებული იყვნენ მელანომიით ან სხვა ონკოლოგიური სენებით, ისინიც, ვისაც უკვე ამოაჭრეს საეჭვო ხალები. ამას გარდა, გაზრდილი რისკი აქვთ ღია ფერის თმებისა და თეთრი ფერის კანის პატრონებს.

საგანგაშო სიმპტომების არსებობის დროს ექიმს შეუძლია დანიშნოს დერმატოსკოპია და ხალების ინდივიდუალური ფოტორუკაც კი გააკეთოს. ხელსაწყო უღებს მათ ფოტოს, შემდეგ კი სპეციალური პროგრამა ქმნის სხეულზე მათი განლაგების სქემას.

როდესაც ადამიანი მივა ექიმთან მეორედ, შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ ერთი წლის წინანდელი და ამჟამინდელილ „რუკები“: ხომ არ არის ახალი წარმონაქმნები, ცვლილებები ძველში? დერმატოლოგები დარწმუნებული არიან, რომ ეს რუკები —საუცხოო ინსტრუმენტია მელანომის ადრეული დიაგნოსტიკისთვის.

◎ პრობლემა

„ტყე შეუნახე შვილებსაო“... და არა მერაბიშვილებსაო

(მეშვიდე გვერდიდან)

როგორც სპეციალისტები აცხადებენ, დაავადებების სწრაფად განვითარების უმთავრესი მიზეზი ტყეების გამეჩხერება, უკანონო ჭრებია. მათი განმარტებით წინა ხელისუფლების მომღერალი მინისტრის უწყება იმაზეც არ ზრუნავდა, რომ დაზიანებული ხეებისგან დაეცვა გარშემო მყოფნი და შეეწამლა ისინი. თუნდაც წაბლის ტყეების ამგვარი მდგომარეობა უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს ზოგიერთი რეგიონის მოსახლეობის ყოფაზე; სადაც ის ერთ-ერთი საარსებო წყაროა. წაბლით საზრდობს აგრეთვე ტყის ბევრი ბინადარიც — ირემი, შველი, დათვი, ღორი და ა. შ.

დაავადების მძიმე სტადიაში მყოფი და გამხმარი ხეების ავადმყოფობის სხვებზე გადადების თავიდან აცილების ერთადერთ საშუალებად გარემოს დამცველებს, მათი მოჭრა მიაჩნიათ. მოჭრილი ხეები უნდა გაიქერქოს და მოხდეს მათი დაწვა-დამარხვა.

სად არის გამოსავალი?

თუ სატყეო პოლიტიკა გონივრულად წარიმართა, დარგი აღარ იქნება წამგებიანი და მცირეშემოსავლიანი. თუნდაც მოსახლეობისათვის ერთი კუბური მეტრი შეშის შედარებით იაფად დამზადება (რაც ხალხს 50-60 ლარი უჯდება), შეშის ზედა ბაქანზე და ადგილზე მიწოდება (თუ დარგი ამას თავის თავზე აიღებს, ბიუჯეტს 25-30 მლნ ლარით შეიკონომებს.

წინა ხელისუფლებას საერთოდ არ აინტერესებდა ტყეების აღდგენა-განახლება თავს კი იმით იმართლებდა, ძვირი ფუფუნებაა და მწირი ბიუჯეტი გვაქვსო (თუმცა გართობებისა და ტაშ-ფანდურებისათვის თანხები გამოინახებოდა ხოლმე).

პროფესორ ლევან გვაზავას საჭიროდ მიაჩნია ტყეების რიგრიგობით 5 წლით დასვენება. იგი თვლის, რომ დღეს ტყე ისეა განადგურებული, რომ ხელოვნურ განახლებაზე უარის თქმა დანაშაული იქნება. ამის დიდი გამოცდილება გვაქვს — ამბობს პროფესორი. თბილისის შემოგარენში, ხაშურის მიმდებარე ტერიტორიის ფიჭვნარი და მრავალი სხვა სულ ხელოვნურადაა გაშენებული, ამტკიცებს იგი და ევროპულ გამოცდილებაზე საუბრობს, სადაც ტყეების ტერიტორიების 90 პროცენტი ხელოვნურადაა გაშენებული.

მიშვებულობისა და წინა ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფო კონტროლის არარსებობის გამო, ზოგიერთ ტყეს მღრღნელიც გაუჩნდა. ისინი ფოთლებს ჭამენ. ე. წ. გარემოს დამცველი არჩილ სუპატაშვილი განმარტავს, რომ ახლა რაიმე პრეპარატის გამოყენება დაგვიანებულია. ფოთლის მღრნელების წინააღმდეგ კარგ ბიოლოგიურ პრეპარატს აწარმოებს რუსეთი — დეპიდოციდს, ამბობს სპეციალისტი და მისივე გადმოცემით სამინისტრო აპირებს მომავალი წლის გაზაფხულისთვის შეიძინოს ის.

დასკვნის მაგივრად

ბიბლიის მიხედვით ღმერთმა ტყე სამყაროს შექმნიდან მესამე დღეს მოავლინა და ყველა უნაყოფო ხესთან ცული მიაყუდა. ამით მან ადამიანს წინასწარ მოუმზადა სიცოცხლისა და არსებობისთვის აუცილებელი ადამიანურ-ეკოლოგიურ-ეკონომიური გარემო.

ზაზა ბილიხოძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა განყოფილების გამგის, აკადემიური დოქტორის მამუკა ხუსკივაძის დედა

ფირუზი კუპატაძე-ხუსკივაძისა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

◎ დაზუსტება

ჩვენი გაზეთის 18 სექტემბრის ნომრის პუბლიკაციაში — „უფრო პატრიოტული, ვიდრე კომერციული პროექტი“ — პროფესორი რეზო გაგუა მოხსენიებული უნდა იყოს, როგორც შპს „საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის“ გენერალური დირექტორი და არა როგორც ს/ს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრის“ ხელმძღვანელი.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“

299-62-77; 599 32-85-76.

◎ კრიმინალი

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 1 მთავარი სამმართველოს 1 სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1984 წელს დაბადებული მიხეილ თ. ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა მისი კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას 122 აბი ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზი“ და ნარკოტიკული საშუალება ნედლი „მარიხუანა„ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 22,4 გრამია.

ნარკოლოგიური შემოწმებით დაკავებულს „ოპიუმის„ და „მარიხუანას“ მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა„ ქვეპუნქტით, რაც 8-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს).

ინტერპრესი

◎ ციფრებსა და ფაქტებში

ზღვაში ბანაობა

ზღვის წყლით მკურნალობას ტალასოთერაპიას უწოდებენ.

მკვდარი ზღვის მარილიანობა 8-ჯერ აჭარბებს ატლანტის ოკეანის მარილიანობას, 7-ჯერ — ხმელთაშუა ზღვისას და წითელი ზღვისას, 14,5-ჯერ — შავი ზღვისას და 40-ჯერ ბალტიის ზღვისას.

ზღვის მარილის 4-5 (ოთხ მეხუთედს) შეადგენს ნატრიუმქლორიდი (სუფრის მარილი), 1-5 წარმოდგენილია სხვადასხვა მიკროელემენტებით, რომელთა შორისაცაა — კალციუმი, ნატრიუმი, იოდი, თუთია, მაგნიუმი, ქლორი...

ზღვაში ბანაობა ზრდის სიცოცხლის ტონუსს, ადამიანის ორგანიზმის ადაპტაციურ შესაძლებლობებს.

ტალღები ახდენენ სხეულის მასაჟს. ასე რომ, ბანაობა აუმჯობესებს კანის, ნერვული სისტემისა და შინაგანი ორგანოების მდგომარეობას.

ზღვის წყალს იყენებენ სამკურნალოდ აბაზანების, ინგალაციისა და გამოვლების სახით. იგი გვეხმარება სასუნთქი სისტემის დაავადების დროს, ხელს უწყობს ტკივილების შემცირებას სახსრებსა და კუნთებში. აქვს ანტიბაქტერიული თვისებები, ხელს უწყობს ქსოვილების შეხორცებას და ზრდის კანის სიმაგრეს. გვეხმარება სტრესისა და დაღლილობის მოხსნაში.

ზღვის მარილი ამაგრებს ფრჩხილებსა და თმებს.

ზღვაში ბანაობა ეკრძალებათ ნერვული სისტემის ორგანული (კერძოდ, ეპილეფსიის), გულსისხლძარღვთა ზოგიერთი (ანევრიზმის), თირკმელების (ნეფრიტის) და ფილტვების დაავადების, აგრეთვე ავთვისებიანი სიმსივნეების დროს.

ტალღების ხმაური, ჰორიზონტის ხედი — ეს ყოველივე ხსნის ნერვულ დაძაბულობას, კურნავს დეპრესიას. წყლის რიტმული რხევები გვეხმარება ვებრძოლოთ უძილობას.

ზღვის კლიმატი სასარგებლოა მეტეომგრძნობიერი ადამიანებისთვის, აგრეთვე მათთვის, ვისაც თირკმელების, გულის, სისხლძარღვების, ნერვული სისტემის დაავადებები აწუხებს.

დღეში 3-4-ჯერ, 30-წუთიანი შესვენებებით — ზღვაში შეცურვის ოპტიმალური ოდენობაა.

ჯანმრთელ ადამიანს ბანაობის დაწყება შეუძლია წყლის ტემპერატურის ცელსიუსით პლუს 18 გრადუსის დროს. 1-2 წუთის განმავლობაში და მისი ხანგრძლივობა შეიძლება გაზარდოს 5-6 წუთამდე.

ენერგიის ხარჯვის თვალსაზრისით ცურვა ზღვის წყალში 100 მეტრზე უდრის 1 კილომეტრზე სირბილს.

სეირნობა ზღვის ქვიშაზე არის ფსამოთერაპია. გაცხელებული ქვიშა გადასცემს ჩვენს ორგანიზმს სითბოს და კურნავს ბევრ ქრონიკულ დაავადებას.

ტკივილები

დედამიწაზე მცხოვრებ დაახლოებით 500 კაცს არასოდეს განუცდია ტკივილი. ტკივილის უქონლობა — ეს იშვიათი დაავადებაა, მას სირინგომიელიას უწოდებენ.

თავის ტვინი — ერთადერთი ორგანოა, რომელსაც არ გააჩნია უნარი იგრძნოს ტკივილი, ვინაიდან არ აქვს ტკივილის რეცეპტორები.

ქალები უფრო ნაკლებად იტანჯებიან ტკივილისგან, ვიდრე მამაკაცები. მათ იცავს ესტროგენები — ქალის სქესობრივი ჰორმონები, რომელთაც აქვთ ბუნებრივი გამაუვმტკივნებელი მოქმედება.

მამაკაცებში ტკივილის დათრგუნვაზე პასუხისმგებელია სტრესის ჰორმონი — ადრენალინი. სწორედ ამიტომ მამაკაცს შეუძლია მიიღოს მომაკვდინებელი ტრავმა ბრძოლაში და ამ დროს კვლავ გააგრძელოს ბრძოლა.

ადამიანების 72 პროცენტს ამპუტირებული ხელებითა და ფეხებით არარსებული კიდურების ადგილზე უჩნდებათ ფანტომური ტკივილები. სტკივათ ის, რაც უკვე აღარ არსებობს.

ტკივილისგან თავის დაღწევაში გვეხმარება ცხარე წიწაკა. მასში ბევრია კაპსიაცინი, ნივთიერება, რომელიც მტკივნეულ იმპულსებს ბლოკავს.

ტკივილი — ეს საფრთხის სიგნალია, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდის სიცოცხლის შენარჩუნებას.

ყველი პარმეზანი, ძმარი, შებოლილი ხორცი, შოკოლადი და პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ ნატრიუმის გლუტამატს (ძეხვეული, კონსერვები, ხსნადი წვნიანები), აღიზიანებენ ნერვების დაბოლოებას. ამ პროდუქტებს შეუძლიათ თავის ტკივილის შეტევები გამოიწვიონ.

შაკიკი ბევრ ცნობილ ადამიანს აწუხებდა: იულიუს კეისარს, ალექსანდრე მაკედონელს, პეტრე პირველს, ლუდვიგ ბეთჰოვენს, პიოტრ ჩაიკოვსკის, ჩარლზ დარვინს, ზიგმუნდ ფრეიდს, ანტონ ჩეხოვს, ნაპოლეონს, ალფრედ ნობელს და სხვებს.

ნაყოფის განვითარების 30-ე კვირისთვის ტკივილის მოქმედებისა და აღქმის ყველა გზა უკვე ჩამოყალიბებულია. ამ დროიდან ნაყოფი აღიქვამს ტკივილს.

11 პროცენტით ნაკლებია იმ ადამიანთა ტვინის მოცულობა, ვისაც ზურგში ქრონიკული ტკივილები აწუხებს, ჯანმრთელებთან შედარებით. რატომაა ეს ასე —მეცნიერებისთვის უცნობია.

იმ ადამიანთა 68 პროცენტი, ვისაც ფსიქოგენური ტკივილები აწუხებს (ადამიანს ეჩვენება, რომ სტკივა ხან გული, ხან თავი, ხან კუჭი, გამოკვლევის შემდეგ კი მასში ვერანაირ დაავადებას ვერ ნახულობენ), იწყებს ტკივილის განცდას სამუშაო დღის ბოლოსთვის, 19 პროცენტი კი — ადრეული დილიდან.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ყურადღებიანი ვარსკვლავები

ახალმა ხელისუფლებამ ჭიათურისთვის ვერ მოიცალა

მუნიციპალიტეტებს შორის ჭიათურა ყველაზე განსაკუთრებულია, რადგან მიწისზევითა პრობლემები, რომელიც ყველა ქართულ რეგიონს ახასიათებს, მიწისქვეშაც ემატება სამთოელთა ქალაქში. რადგან მოსახლეობას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ივანიშვილი მიხედავდა არაერთგზის მიწასთან გასწორებულ მუნიციპალიტეტს, ამიტომ საჩხერის შემდეგ ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი „ქართულ ოცნებას“ (უფრო ბიძინა ივანიშვილს) ხვდა წილად. წინასაარჩევნოდ ჩამოსულმა პრემიერმა ჭიათურის მოსახლეობას ბოდიში მოუხადა, რომ საჩხერის დარად ვერ ეხმარებოდა მაღაროელებს. და არა მარტო მათ, კოჰაბიტაციის ნირვანაში ჩაფლულმა საქართველომ ვერაფერი პოზიტივები დაინახა. პირიქით, ჭიათურაში ბევრი რამ უარესობისკენ მიდის.

„ახალი თაობა“

ბიუჯეტი 400 მილიონით შემცირდება?

საპარლამენტო უმცირესობის წევრის ზურაბ მელიქიშვილის განცხადებით, ქვეყანაში შემოსავლები შემცირებულია, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში სერიოზული დანაკლისია და საუბარია, რომ უკვე წინა თვის ანგარიშის მიხედვით შემოსავლებში 350-მილიონიანი გარღვევაა. „27 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ერთი თვის განმავლობაში საქართველოს მთავრობა პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის ცვლილებებით შევა, რომლის მიხედვითაც მთლიანი პარამეტრი 8 მილიარდ 600 მილიონიდან დაახლოებით 400 მილიონი ლარით შემცირდება. ვინ არის მართალი, ზუსტად მას შემდეგ გაირკვევა“, — აცხადებს მელიქიშვილი. მის განცხადებას ფინანსთა მინისტრი ხადური უსაფუძვლოს უწოდებს და ამბობს, რომ ბიუჯეტს არანაირი პრობლემა არ გააჩნია.

„ალია“

კონტროლის გაძლიერებამ სურსათის ხარისხის პრობლემა ვერ გადაჭრა

დედაქალაქსა და რეგიონებში ვადაგასული და უხარისხო საკვების რეალიზაციის ფაქტები გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ კონტროლი გააძლიერა, პრობლემა კვლავაც მოუგვარებელია. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სურსათის ექსპერტები კვების ობიექტებში არსებულ მდგომარეობას საგანგაშოდ მიიჩნევენ. მათი განცხადებით, პრობლემა იარსებებს, სანამ არ მიიღებენ კანონს მომხმარებელთა უფლებების შესახებ, რომელშიც მკაცრად იქნება განსაზღვრული მეწარმის პასუხისმგებლობა.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ციცხალი ანეკდოტები

ციხეში კომისია მივიდა. ხედავენ, რომ ყველა კარი ღიაა, სათვალთვალო კამერები მოხსნილია, დაცვა არსად არა ჩანს, პატიმრები კი თვინიერად სხედან საკნებში.

— რა ხდება, კაცო? სხვებს დაცვა ჰყავთ, თვალთვალის სისტემაც აქვთ, კედლებში დენიც გადის, მაგრამ მაინც გარბიან. თქვენთან რა ხდება. ასეთი რა გააკეთეთ?

— ინტერნეტი შევუყვანეთ საკნებში.

* * *

— ალბათ, საჭიროა, რომ საშობაოდ ყველა ჩემი ავადმყოფი მოვინახულო, — ეუბნება ექიმი თავის ასისტენტს.

— ასეთ ყინვაში სასაფლაოზე წახვალთ, ექიმო?

* * *

მას მერე, რაც უროლოგმა უნაყოფობის საშინელი დიაგნოზი დაუსვა, იგი ისე დაიბნა, რომ არც კი იცოდა, როგორ ეთქვა ეს თავისი ფეხმძიმე ცოლისთვის.

* * *

— ხუმრობა გესმის?

— საკუთარი — კი!

* * *

— მამაო, ქმართან განქორწინების ნება დამრთეთ, — ეუბნება ქალი მღვდელს.

— რაშია საქმე, შვილო ჩემო?

— სვამს, არ მუშაობს, მცემს!

— მაშ რად გაყევი ასეთს ცოლად?

— სულელი ვიყავი!

— აი, ხომ ხედავ, იმან კი შენ, სულელი, ცოლად შეგირთო!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ბაშაკიძე 514 33-33-24